

# სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგი ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში

მონიტორინგის ანგარიში №6  
პერიოდი: იანვარი - აგვისტო, 2014  
დეკემბერი, 2014  
თბილისი, საქართველო

მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) გულუხვი თანადგომით. წარმოდგენილ კვლევაზე პასუხისმგებელია საია და ის არ გამოხატავს USAID-ის, ამერიკის მთავრობისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მოსაზრებებს (EWMII).



# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

## სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგი ბათუმის, ქუთაისის და თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში

ანგარიში №6  
(იანვარი-აგვისტო, 2014)

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან



EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი

ავტორთა მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის მთავრობის პოზიციას.

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას სასამართლო მონიტორინგის პროექტის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

**ავტორი: თინათინ ავალიანი**

**რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი**

**ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე**

**გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ გვარამაძე**

**მონიტორინგის და კვლევის მარიამ ნიკოლაშვილი**  
**მომზადების პროცესში ვლადიმერ ბეჰიშვილი**  
**მონაწილეობა მიიღეს საიას ანა სიბუა**  
**მონიტორებმა: თამარ ბოჭორიშვილი**  
**რევაზ აჭარაძე**  
**მარიამ მელაძე**  
**კაატა ღიასამიძე**



აიწყო და დაკაბადონდა  
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.  
ჯ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ძირითადი ტენდენციები .....	5
პირველი წარდგენის სხდომები (აღკვეთის ღონისძიებები) .....	5
წინასასამართლო სხდომები .....	7
საპროცესო შეთანხმების სხდომები .....	8
დაკვირვების სხვა მნიშვნელოვანი შედეგები .....	9
შესავალი .....	10
მეთოდოლოგია .....	12
ანგარიშის სტრუქტურა .....	13
ა. დაკვირვების შედეგები საქმის განხილვის ეტაპების მიხედვით .....	14
I. პირველი წარდგენის სხდომები .....	14
1.1. ზოგადი ტენდენციები .....	15
1.2. კონკრეტული აღკვეთის ღონისძიებები .....	17
1.2.1. გირაო .....	17
1.2.2. პატიმრობა .....	26
1.2.3. პირადი თავდებობა .....	29
1.2.4. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ .....	29
1.3. საქმეთა განხილვის წინასწარი გამოქვეყნება .....	30
II. წინასასამართლო სხდომები .....	32
III. საპროცესო შეთანხმების სხდომები .....	34
ბ. დაკვირვების შედეგები ცალკეული უფლებების მიხედვით .....	38
I. მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი ...	38

II. დაცვის უფლება .....	43
III. არასათანადო მოპყრობის აკრძალვა .....	46
IV. მოტივირებული (დასაბუთებული) გადანყვეტის უფლება ...	48
V. საჯარო განხილვის უფლება .....	50
VI. თარჯიმნის ყოლის უფლება .....	53
გ. პროცესის მონაწილეთა ძცევა სასამართლო სხდომაზე .....	54
დ. სასამართლო პროცესის დროულად გამართვის უზრუნველყოფა .....	57
დასკვნა .....	58
რეკომენდაციები .....	60

## ქირითადი ტენდენციები

### პირველი წარდგენის სხდომები (ალკვეთის ღონისძიებები)

- მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით (ივლისი-დეკემბერი, 2013):
  - 55%-დან 60%-მდე გაიზარდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც პროკურატურა პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა.
  - 42%-დან 37%-მდე შემცირდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.
  - 55%-დან 52%-მდე შემცირდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც ალკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდათ.
  - 3%-დან 11%-მდე გაიზარდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც შეეფარდათ ალტერნატიული ალკვეთის ღონისძიება და რომელთაც არც ერთი ალკვეთის ღონისძიება არ შეეფარდებიათ.
- მონიტორინგის დაწყებიდან (2011 წლის ოქტომბერი) პირველად დაფიქსირდა სამი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ უკანონოდ ცნო პირის დაკავების ოქმი და იგი სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.
- ამ საანგარიშო პერიოდში (იანვარი – აგვისტო, 2014) დაფიქსირდა 11 შემთხვევა, როდესაც, მიუხედავად პროკურორის შუამდგომლობისა, სასამართლომ ბრალდებულები ალკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა. ამასთან, საიამ მსგავსი შემთხვევა პირველად 2013 წელს დააფიქსირა, როდესაც მოსამართლემ 2 ბრალდებული ალკვეთის ღონისძიების გარეშე გაათავისუფლა.
- ასევე, მთელი მონიტორინგის განხორციელების პერიოდში პირველად დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც თავად პროკურორებსაც არ მოუთხოვიათ ალკვეთის ღონისძიების გამოყენება ისეთი ბრალდებულების მიმართ, რომლებიც პატიმრები არ იყვნენ.<sup>1</sup> საიამ ასეთი

<sup>1</sup> წინა საანგარიშო პერიოდებში დაფიქსირდა ერთეული შემთხვევები, როდესაც ბრალდებული იყო სხვა დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირი, რომელიც იმყოფებოდა პატიმრობაში და ამ მიზეზით პროკურორი აღარ ითხოვდა დამატებით ალკვეთის ღონისძიების გამოყენებას.

7 შემთხვევა დააფიქსირა. პროკურატურამ აგრეთვე არ მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება 3 ბრალდებულის მიმართ, რომლებიც უკვე პატიმრობაში იმყოფებოდნენ. ჯამში 21 (6%) ბრალდებულის საქმე გადაეცა წინასასამართლო განხილვას ისე, რომ მათ არც ერთი აღკვეთის ღონისძიება შეფარდებიათ. საია დადებითად აფასებს ასეთ შემთხვევებს და იმედს იტოვებს, რომ პროკურორები და სასამართლოები მომავალშიც, საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, არ მოითხოვენ და არ გამოიყენებენ პატიმრობას, როგორც ყველაზე უკიდურეს და ყველაზე მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას.

- სასამართლო, როგორც წესი, ორი სახის აღკვეთის ღონისძიებას – პატიმრობას და გირაოს იყენებდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა პერიოდებთან შედარებით, მოსამართლეებმა უფრო მეტ შემთხვევაში გამოიყენეს ალტერნატიული ღონისძიებები: 2 პირადი თავდებობდა და 13 შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ.
- ბოლო ორი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (2013 წლის იანვრიდან) გრძელდება სასამართლოს მხრიდან უფრო მეტად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების ტენდენცია აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ეტაპზე. კერძოდ, სასამართლომ პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებების 93% და გირაოს შესახებ გადაწყვეტილებების 82% დაასაბუთა. წინა საანგარიშო პერიოდში პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებების 87% და გირაოს შესახებ გადაწყვეტილებების 84% იყო დასაბუთებული.
- წინა საანგარიშო პერიოდიდან მოყოლებული კიდევ ერთი ტენდენცია შეინიშნება – სასამართლო ავტომატურად აღარ აკმაყოფილებს პროკურატურის შუამდგომლობებს და აღკვეთის ღონისძიებას უფრო მეტი განსჯის შედეგად უფარდებს ბრალდებულს:
  - შემთხვევების 34%-ში, როდესაც პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა, სასამართლომ შეუფარდა გირაო.
  - შემთხვევების 3%-ში, როდესაც პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა, სასამართლომ ბრალდებულ ალკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.

- 1 შემთხვევაში, როდესაც პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა, სასამართლომ პირადი თავდებობა გამოიყენა.
- შემთხვევების 55%-ში, როდესაც პროკურატურამ გირაო მოითხოვა, სასამართლომ შეამცირა გირაოს ოდენობა.
- შემთხვევების 9%-ში, როდესაც პროკურატურამ გირაო მოითხოვა, სასამართლომ გამოიყენა შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ.
- შემთხვევების 4%-ში, როდესაც პროკურატურამ გირაო მოითხოვა, სასამართლომ ბრალდებულები დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე.
- მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება პირველი წარდგენის სხდომათა საქმეებზე. თუმცა, ბათუმისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების მისაღებებში მანდატურები ვერბალურად აცხადებდნენ პირველი წარდგენის სხდომების შესახებ.

### **წინასასამართლო სხდომები**

- მონიტორინგის დაწყებიდან მოყოლებული (2011 წლის ოქტომბერი) უკვე მეორედ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ საქმე არ გადასცა არსებითად განსახილველად და სისხლისსამართლებრივი დევნა წინასასამართლო განხილვის ეტაპზე შეწყვიტა.
- წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, სასამართლოები, როგორც ჩანს, ისევ შემოიფარგლებოდნენ პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილებით მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ. რაც შეეხება დაცვის მხარეს, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ის უფრო პასიური ჩანდა. ამ საანგარიშო პერიოდში დაცვამ 192 საქმიდან, საიდანაც არც ერთი არ იყო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე პროცესი, მხოლოდ 44 შემთხვევაში (23%) დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ. წინა საანგარიშო პერიოდში მსგავსი შემთხვევები საქმეთა 36%-ში დაფიქსირდა.



## საპროცესო შეთანხმებები

- წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, მოსამართლეები უფრო გააქტიურებული ჩანდნენ საპროცესო შეთანხმების განხილვისას და ავტომატურად აღარ ამტკიცებდნენ ბრალდების მხარის შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე. მონიტორინგის დასაწყისიდან (2011 წლის ოქტომბერი) პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც საპროცესო შეთანხმების განხილვისას მოსამართლემ დასვა დამატებითი კითხვები, დაინტერესდა, რამდენად სამართლიანი და კანონიერი იყო საპროცესო შეთანხმების პირობები. მას შემდეგ, რაც მოსამართლე ვერ დარწმუნდა 3 საპროცესო შეთანხმების კანონიერებასა და სამართლიანობაში, მხარეებმა კი უარი განაცხადეს შეთანხმებაში ცვლილებების შეტანაზე, მოსამართლემ უარი თქვა მათ დამტკიცებაზე. საია დადებითად აფასებს ამ ცვლილებას და იმედს იტოვებს, რომ მოსამართლეები მომავალში კიდევ უფრო აქტიურად შეეცდებიან საპროცესო შეთანხმების სამართლიანობის და კანონიერების დადგენას და მხოლოდ ამის შემდეგ დაამტკიცებენ მას.
- მონიტორინგის ბოლო 3 პერიოდში შემცირდა იმ საპროცესო შეთანხმებების რაოდენობა, სადაც ბრალდებულებს ჯარიმა შეეფარდათ. აღნიშნულმა მაჩვენებელმა, საბოლოოდ, 44% შეადგინა, მაშინ როდესაც წინა საანგარიშო პერიოდებში ის 69%, 50% და 49% იყო. მიუხედავად ამისა, შეფარდებული ჯარიმების საშუალო ოდენობა 1850-დან 4873 ლარამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ბოლო სამ საანგარიშო პერიოდში ფიქსირდებოდა ჯარიმების საშუალო ოდენობის შემცირების ტენდენცია. კერძოდ, 2012 წლის ივლის-დეკემბერში შეფარდებული ჯარიმების საშუალო ოდენობა 9115 ლარი იყო, 2013 წლის იანვარ-ივნისში – 3295 ლარი, 2013 წლის ივლის-დეკემბერში კი – 1850 ლარამდე შემცირდა.
- საპროცესო შეთანხმებისას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების შემთხვევები 5%-მდე შემცირდა. ბოლო ორ საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი 1%-დან 7%-მდე იყო მომატებული.

## დაკვირვების სხვა მნიშვნელოვანი შედეგები

- წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, გახმაურებული საქმეების გამოკლებით, სადაც დაცვა ძალიან აქტიური იყო, ჩვეულებრივ საქმეებში ის კვლავ პასიურობით გამოირჩეოდა ბრალდებასთან შედარებით.
- დასრულებული 204 საქმიდან (135 – საპროცესო შეთანხმება და 69 – არსებითი განხილვა) ბრალდებული მხოლოდ 1 შემთხვევაში გამართლდა. წინა საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 3 გამამართლებელი განაჩენი (აქედან 2 საქმე<sup>2</sup> გახმაურებული იყო).
- მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, მოსამართლეები ბრალდებულებს, სხვა უფლებებთან შედარებით, ბევრად უკეთესად განუმარტავდნენ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ უფლებებს. ამასთან, გაუმჯობესდა ბრალდებულთათვის მათი სხვა უფლებების განმარტების ხარისხიც.
- ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებების დაკანონების კუთხით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ვითარება არ შეცვლილა. მონიტორინგის განმავლობაში, ჩხრეკისა და ამოღების შესახებ ნარდგენილი 48 შუამდგომლობიდან მხოლოდ ორ შემთხვევაში გასცა სასამართლომ წინასწარი ნებართვა ჩხრეკის ჩატარებაზე. დანარჩენ 46 შემთხვევაში კი, სასამართლომ დააკანონა უკვე ჩატარებული ჩხრეკა. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს, რომ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო არ ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს – თუ ჩხრეკა და ამოღება არ ემყარება გადაუდებელ აუცილებლობას, ის არ უნდა ჩატარდეს, ან/და შემდეგ არ უნდა დაკანონდეს.
- საჯარო განხილვასთან დაკავშირებული პრობლემა აგრეთვე ფიქსირდებოდა ნაფიცო მსაჯულების შერჩევის სხდომებზეც. წინა საანგარიშო პერიოდებში მოქალაქეებს შეზღუდული ჰქონდათ სხდომაზე დასწრების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ სხდომები, მოსამართლის გადანყვებით, ოფიციალურად დახურულად არ გამოცხადებულა. 2014 წლის იანვრიდან სასამართლომ აღმოფხვრა ნაფიც მსაჯულთა სხდომების საჯაროობას-

<sup>2</sup> ნიკოლოზ გვარამიას (იუსტიციის, ასევე, განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი) და კახა გენაძის საქმეები (ზეესტაფონის ყოფილი გამგებელი).

თან დაკავშირებული პრობლემა და მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა, უპრობლემოდ დასწრებოდნენ ამ პროცესებს.

- პრობლემურ საკითხად რჩება სასამართლო განხილვების დროულად დაწყებაც. პირველი წარდგენის სხდომების გამოკლებით, სხვა დანარჩენი სხდომების 26% 5 წუთზე მეტი დროის დაგვიანებით დაიწყო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკეთესი შედეგია წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, როდესაც პროცესების 38% დაგვიანებით იწყებოდა.

## შსსაპალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ახორციელებს სასამართლოს მონიტორინგის პროექტს 2011 წლის ოქტომბრიდან. საიამ მონიტორინგის პროექტი თავდაპირველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში განახორციელა. 2012 წლის 1 დეკემბერს საიამ გააფართოვა მონიტორინგის ფარგლები და მასში ქუთაისის საქალაქო სასამართლოც ჩართო. 2014 წლის მარტის თვეში კი, მონიტორინგი ბათუმის საქალაქო სასამართლოში დაიწყო. სამივე ქალაქში მონიტორინგის იდენტიური მეთოდები იყო გამოყენებული.<sup>3</sup>

საიამ საზოგადოებას და დაინტერესებულ მხარეებს მონიტორინგის პირველი და მეორე ანგარიშები (2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის მარტამდე) 2012 წლის ივნისში წარმოუდგინა. მესამე ანგარიშის პრეზენტაცია 2013 წლის აპრილში (მოიცავს პერიოდს – 2012 წლის ივლისიდან დეკემბრამდე) ჩატარდა. მეოთხე ანგარიშის პრეზენტაცია (მოიცავს პერიოდს – 2013 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით) 2013 წლის ოქტომბერში, მეხუთე ანგარიშისა კი (მოიცავს პერიოდს – 2013 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით) – 2014 წლის აპრილში გაიმართა.

ამჯერად წარმოგიდგინთ საიას სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეექვსე ანგარიშს, რომელიც მოიცავს მონაცემებს 2014 წლის იანვრიდან 15 აგვისტოს ჩათვლით. ანგარიშში აგრეთვე გაცნობით ნაფიცი მსაჯულების მონაწილეო-

<sup>3</sup> ბათუმსა და ქუთაისში, საქმეთა მცირე რაოდენობის გამო, მონიტორინგს ერთი დამკვირვებელი ახორციელებდა. თბილისის საქალაქო სასამართლოში მონიტორინგს სამი დამკვირვებელი ახორციელებდა, წინა საანგარიშო პერიოდის ანალოგიურად.

ბით გამართული სხდომების დაკვირვების შედეგებს. წინა ანგარიშების მსგავსად, სისხლის სამართლის საქმის წარმოების მონიტორინგის მიზანია გამჭვირვალობის გაზრდა, სასამართლო დარბაზებში მიმდინარე რეალური პროცესების ასახვა და საზოგადოებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. ანგარიშს თან ერთვის მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტის შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების მთავარი მიზანი სისხლის სამართლის სისტემის სრულყოფა-გაუმჯობესების ხელშეწყობაა.

2014 წლის იანვრიდან 15 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში საიამ 1167 სასამართლო პროცესის მონიტორინგი განახორციელა.<sup>4</sup> მათ შორისაა:

- 283 – პირველი წარდგენის სხდომა
- 226 – წინა სასამართლო სხდომა
- 138 – საპროცესო შეთანხმების სხდომა
- 495 – არსებითი განხილვის სხდომა
- 19 – სააპელაციო განხილვის სხდომა
- 3 – ნაფიცი მსაჯულების შერჩევის სხდომა
- 3 – ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით გამართული სხდომა

ამ 1167 სხდომიდან 447 თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩატარდა, 320 – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, 381 – ბათუმის საქალაქო სასამართლოში, 16 – თბილისის სააპელაციო სასამართლოში და 3 – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. საიამ ცალკე არ განიხილა ნაფიცი მსაჯულთა და სააპელაციო განხილვის სხდომები, რადგან ამ პროცესებზე რაიმე განსხვავებული ტენდენცია არ დაფიქსირებულა.

მონიტორინგის წინა ანგარიშში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ აღნიშნა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სასამართლოში დაწყებული გარკვეული გაუმჯობესებული მიდგომები განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ნაწილში. ამ საანგარიშო პერიოდში დადებითი კუთხით აღნიშვნის ღირსია

<sup>4</sup> საიას მიერ მონიტორინგის დაწყებიდან მოყოლებული, ეს არის ერთ საანგარიშო პერიოდში დასრულებული სხდომების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

მოსამართლეთა მიერ გირაოსა და პატიმრობისგან განსხვავებული ალკვეთის ღონისძიებების უფრო ხშირად გამოყენება და მეტად გააქტიურება საპროცესო შეთანხმებების განხილვისას.

## მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშში მოცემული ყველა ინფორმაცია მიღებულია სხდომებზე დასწრების შედეგად. საიას დამკვირვებლები არ ესაუბრებოდნენ მხარეებს და არ განიხილავდნენ საქმის მასალებს ან გადაწყვეტილებებს. მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი საიას გამოცდილმა იურისტებმა და ანალიტიკოსებმა განახორციელეს.

გასული მონიტორინგების მსგავსად, საიას დამკვირვებლები იყენებდნენ კითხვარებს, რომლებიც კონკრეტულად მონიტორინგის პროექტისთვის მომზადდა.

მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია და სასამართლოს საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ შიდა კანონმდებლობასთან შეფასდა საიას ანალიტიკოსებისა და გამოცდილი იურისტების მიერ.

კითხვარები მოიცავდა როგორც „დახურულ“ კითხვებს, რომლებზე პასუხიც შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ასევე „ღია“ კითხვებს, რომლებიც მონიტორებს საშუალებას აძლევდა, ვრცლად აეხსნათ და დაეფიქსირებინათ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდის ანალოგიურად, საიას დამკვირვებლები გარკვეულ შემთხვევებში აწარმოებდნენ ჩანაწერებს სასამართლო განხილვებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუამდგომლობების შესახებ, რაც უფრო მეტ სიცხადეს და კონტექსტს ანიჭებდა მათ მუშაობას. ამ პროცედურის საშუალებით, მონიტორებმა მოახერხეს ობიექტური, გაზომვადი მონაცემების შეგროვება და, იმავდროულად, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების იდენტიფიცირება. ამ ანგარიშის დანართები, შესაძლოა, სრულად არ ასახავდეს ამ, გარკვეულწილად, სუბიექტურ შეფასებებს, თუმცა, საიას დასკვნა მთლიანობაში ეფუძნება მონიტორების მიერ მოპოვებული სრული ინფორმაციის ანალიზს.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების სირთულის გათვალისწინებით, საიას დამკვირვებლები, როგორც წესი, ესწრებოდნენ ინდივიდუალურ სასამართლო პროცესებს და არა საქმის განხილვის ყველა სხდომას. თუმცა, იყო რამდენიმე გამონაკ-

ლისი. ე.წ. „გახმაურებულ“ საქმეებს, ასევე საქმეებს, რომლებიც საიას დამკვირვებლების და ანალიტიკოსების მიერ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით განისაზღვრა, საიას მონიტორი, შეძლებისდაგვარად, განხილვის მთელ ეტაპზე დაესწრო. საია აკვირდებოდა იმ საქმეებს, რომლებიც შეირჩა უფლებათა უხეში დარღვევების, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან სხვა განსაკუთრებული ფაქტორის გათვალისწინებით. ასეთ საქმეებს ასოციაცია სააპელაციო სასამართლოშიც აკვირდებოდა.

## **ანგარიშის სტრუქტურა**

წინამდებარე ანგარიში 5 ძირითადი ნაწილისგან შედგება.

პირველი ნაწილი მოიცავს ძირითად დასკვნებს სისხლის სამართლის საქმის ორ ეტაპთან (ბრალდებულის პირველი წარდგენის და წინასასამართლო სხდომები) და ცალკეულ სხდომებთან (საპროცესო შეთანხმების სხდომები) დაკავშირებით.

ანგარიშის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ბრალდებულის ძირითადი უფლებები სამართალწარმოების პროცესში. ესენია: მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, დაცვის უფლება, არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, მოტივირებული (დასაბუთებული) გადაწყვეტილების უფლება და თარჯიმნის უფლება.

ანგარიშის მესამე ნაწილი ეხება პროცესის მონაწილეთა ქცევას სასამართლოში. ეს ნაწილი მოიცავს მხოლოდ ისეთი სახის დარღვევებს, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგება საპროცესო კანონს ან ეთიკურ ნორმებს.

ანგარიშის მეოთხე ნაწილი მოიცავს სასამართლოში პროცესის გამართვასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების მიმოხილვას.

ანგარიშის დასკვნით ნაწილში განხილულია ძირითადი საკითხები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა. აქვე წარმოდგენილია საიას მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც მონიტორინგის მანძილზე გამოვლენილ პრობლემებზე დაყრდნობით მომზადდა.

საია იმედს გამოთქვამს, რომ მონიტორინგის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია შექმნის საქართველოს სასამართლოებში არსებული ვითარების უფრო ნათელ სურათს და პოზიტიურ ნვლილს შეიტანს სასამართლო რეფორმის შესახებ მიმდინარე დებატებში.

## **5. დაკვირვების შედეგები საქმის განხილვის ეტაპების მიხედვით**

### **I. პირველი წარდგენის სხდომები**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 198-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლო განიხილავს საკითხს, თუ რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, რათა ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელი არ შეეშალოს გამოძიებას მანამ, სანამ საქმეზე საბოლოო განაჩენი დადგება. აღკვეთის ღონისძიება უნდა იყოს დასაბუთებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენება კანონით დადგენილ მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს.

სასამართლოს შეუძლია სსსკ-ით გათვალისწინებული რამდენიმე აღკვეთის ღონისძიებიდან ერთ-ერთის გამოყენება: პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა, გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, სარდლობის მიერ სამხედრო მოსამსახურის ქცევის მეთვალყურეობა.

სსსკ-ის 198.3 მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას, პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა და სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების არამართებულობა. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების ტვირთი ბრალდების მხარეს აწევს. დაცვის მხარე არ არის ვალდებული, წარადგინოს მტკიცებულება აღკვეთის ღონისძიების სანინააღმდეგოდ. ამასთან, სსსკ-ის 198.5 მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.

სასამართლოს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული, რადგან საქმის წარმოების ყოველ ეტაპზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილია, რაც

გარანტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით<sup>5</sup> და გამყარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ევროპის სასამართლო) რიგი გადაწყვეტილებებით.<sup>6</sup>

### 1.1. ზოგადი ტენდენციები

საანგარიშო პერიოდში საია დააკვირდა 283 პირველი ნარდგენის სხდომას (141 – თბილისის საქალაქო სასამართლოში, 37 – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში და 105 – ბათუმის საქალაქო სასამართლოში) 326 ბრალდებულის<sup>7</sup> მიმართ. მონიტორინგის ყველა წინა პერიოდთან შედარებით, ზოგადი სურათი მკვეთრად გაუმჯობესებულია, თუმცა, წინა პერიოდებში არსებული ცალკეული ნეგატიური პრაქტიკა უცვლელი დარჩა.

საიას მიერ მონიტორინგის დაწყებიდან მოყოლებული, მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთებულობის კუთხით. სასამართლოს მონიტორინგის პირველ და მეორე საანგარიშო პერიოდებში სასამართლო აკმაყოფილებდა ბრალდების მხარის ყველა შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შესახებ, რაც მიუთითებდა აშკარა ტენდენციურობაზე პროკურატურის სასარგებლოდ. მონიტორინგის მესამე პერიოდში ვითარება გარკვეულწილად შეიცვალა, განსაკუთრებით, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც სასამართლომ, რიგ შემთხვევაში, არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ. მომდევნო საანგარიშო პერიოდებში ეს ტენდენცია შენარჩუნდა, ნაცვლად ბრალდების ყველა შუამდგომლობის ავტომატურად დაკმაყოფილებისა. სასამართლოები შედარებით აქტიურები იყვნენ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას და არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ ბრალდების მხარის მოთხოვნით. მოცემულ საანგარიშო პერიოდში, ამ მხრივ, ვითარება კიდევ უფრო გაუმჯობესდა. მოსამართლეები მეტ ძალისხმევას იჩენდნენ პროკურორის შუამდგომლობის საფუძვლებისა და დაცვის პოზიციის გამოსარკვევად. თავის მხრივ, პროკურორებიც ცდილობდნენ, უფრო უკეთ დასაბუთებული შუამდგომლობით მიემართათ სასამართლოსთვის. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების შესახებ

<sup>5</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 194.2.

<sup>6</sup> E.g., *Hiro Balani v. Spain*, no. 18064/91, Para. 27 (9 December 1994).

<sup>7</sup> ზოგიერთ პირველი ნარდგენის მოსმენაზე ერთზე მეტი ბრალდებული მონაწილეობდა.



გადანყვეტილებების დასაბუთებულობის რაოდენობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მართალია, წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ბრალდების მხარემ პატიმრობა საქმეების განსაკუთრებულად დიდ რაოდენობაში მოითხოვა, თუმცა, ბრალდების მხარის შუამდგომლობები პატიმრობის შესახებ უფრო დასაბუთებული გახდა. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი გირაოს შუამდგომლობების ნაწილი კვლავ არასათანადოდ დასაბუთებული იყო, ვინაიდან პროკურატურა ვერ წარმოადგენდა ინფორმაციას ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. თუმცა, აქ თავის დადებით როლს სასამართლო ასრულებდა და, ძირითადად, ის თავად ცდილობდა ბრალდებულისაგან ამ ინფორმაციის მოპოვებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო ყველაზე უარესი – ბათუმის საქალაქო სასამართლოში, სადაც მოსამართლეები კვლავ პასიურ როლს ინარჩუნებენ და არ ცდილობენ ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვებას აღკვეთის შუამდგომლობის განხილვისას.

პირველი წარდგენის სხდომებზე, დაცვის განხორციელების მხრივ, მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა. როგორც პატიმრობის, ისე გირაოს მოთხოვნის შემთხვევებში, დაცვა უფრო იშვიათად ეთანხმებოდა ბრალდების პოზიციას და ცდილობდა, კონკრეტული არგუმენტებით დაესაბუთებინა თავისი პოზიცია. ამის საპირისპიროდ, სამწუხაროდ, ისევ იყო შემთხვევები, როდესაც დაცვა ფორმალურად ეწინააღმდეგებოდა ბრალდების შუამდგომლობას და თავის სასარგებლოდ არც ერთი დამაჯერებელი არგუმენტი არ მოჰყავდა.

საიამ დააფიქსირა წინა საანგარიშო პერიოდებისაგან განსხვავებული მდგომარეობა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების კუთხით. სასამართლო აღარ იყენებდა მხოლოდ ორი სახის აღკვეთის ღონისძიებას – გირაოსა და პატიმრობას და ბრალდებულებსაც უფრო ხშირად ათავისუფლებდა აღკვეთის ღონისძიების გარეშე. თავის მხრივ, პროკურორების მხრიდანაც გაჩნდა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნისა და საერთოდ აღკვეთის ღონისძიების გარეშე წინასასამართლო სხდომის ჩანიშვნის მოთხოვნის პრეცედენტები.

სასამართლომ ბრალდებულთა 37%-ს პატიმრობა, 52%-ს კი გირაო შეუფარდა. მონიტორინგის დროს გამოვლინდა 11 შემთხვევა, როდესაც სასამართლომ, მიუხედავად პროკურორის მოთხოვნისა (6 შემთხვევაში პროკურატურა პატიმრობას, 5

შემთხვევაში კი, გირაოს ითხოვდა), ბრალდებული დატოვა ალკვეთის ღონისძიების გარეშე. ამასთან, მონიტორინგის ისტორიაში პირველად დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც თავად ბრალდების მხარემ არ იშუამდგომლა არც ერთი ალკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და სასამართლოს პირდაპირ წინა სასამართლო სხდომის ჩანიშვნის შუამდგომლობით მიმართა. ბრალდებამ სულ 10 შემთხვევაში არ მოითხოვა ალკვეთის ღონისძიების გამოყენება (აქედან 3 ბრალდებული უკვე მსჯავრდებული იყო სხვა დანაშაულისათვის და იმყოფებოდა პატიმრობაში). ჯამში 21 ბრალდებულს არ შეეფარდა ალკვეთის ღონისძიება.

სასამართლომ 13 ბრალდებულის მიმართ, რომელთაგან მხოლოდ სამს ჰყავდა ადვოკატი, გამოიყენა შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელი შესახებ. აღსანიშნავია, რომ ორ შემთხვევაში ეს ღონისძიება ბრალდების მხარემ მოითხოვა, დანარჩენ 11 შემთხვევაში კი, პროკურორი გირაოს გამოყენების მოთხოვნით აყენებდა შუამდგომლობას.

საია ზემოხსენებულ შემთხვევებს დადებითად აფასებს და იმედს იტოვებს, რომ პროკურორები და სასამართლოები უფრო ხშირად მოითხოვენ და გამოიყენებენ ალკვეთის ღონისძიების ალტერნატიულ სახეებს ან, აუცილებლობის არარსებობის შემთხვევაში, საერთოდ არ შეუფარდებენ ბრალდებულს ალკვეთის ღონისძიებას.

326 ბრალდებულიდან მხოლოდ 13 შემთხვევაში დააყენა დაცვამ გირაოსგან განსხვავებული მოთხოვნა (4 – ალკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება, 2 – პირადი თავდებობა და 5 – შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელი შესახებ, 2 შემთხვევაში კი, დაცვამ მოითხოვა გირაოზე უფრო მსუბუქი ნებისმიერი ალკვეთის ღონისძიების გამოყენება). ამ 13 მოთხოვნიდან სასამართლომ არც ერთი დააკმაყოფილა.

## **1.2. კონკრეტული ალკვეთის ღონისძიებები**

### **1.2.1. გირაო**

გირაო ალკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახეა, რომლის გამოყენების მიზანია, ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, ალიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეეშალოს გამოძიებას. გირაოს შეფარდებისას ბრალდებული იხდის კონკრეტულ თანხას იმის სანაცვლოდ, რომ გათავისუფლდეს საქმეზე საბოლოო განა-

ჩენის დადგომამდე. ბრალდებულს ან პირს, რომელმაც გადაიხადა გირაო მის სასარგებლოდ, გადახდილი თანხა სრულად უბრუნდება (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით) ან ქონებას ყადაღა ეხსნება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისთანავე ერთი თვის ვადაში იმ მოტივით, რომ ბრალდებულმა მასზე დაკისრებული ვალდებულება შეასრულა ზედმინევით და გულწრფელად და მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.<sup>8</sup>

გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახეობის, მიმართ ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მოთხოვნა. შედეგად, პროკურორმა უნდა დაასაბუთოს აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობა და სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის, ბრალდებულის პიროვნება, ფინანსური მდგომარეობა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პროკურატურა არ წარადგენს ინფორმაციას ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით. დაცვის მხარე არ არის ვალდებული, აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგინოს, ვინაიდან ბრალდების მხარის მოვალეობაა, დაასაბუთოს მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებების მიზანშეწონილობა და პროპორციულობა.<sup>9</sup>

აქედან გამომდინარე, გირაოს მიზანშეწონილობა დამოკიდებულია მისი აუცილებლობის დასაბუთებაზე.

### **გამოვლენილი შედეგები**

ამჟამინდელი სტატისტიკა, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რაც იყო მონიტორინგის თავდაპირველ პერიოდებში. კერძოდ, მოსამართლეები ავტომატურად აღარ აკმაყოფილებენ ბრალდების მხარის შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შესახებ და ბრალდებულს უფრო მეტი განსჯის შედეგად უფარდებენ აღკვეთის ღონისძიებას.


<sup>8</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 200.

<sup>9</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 200.2 მუხლის თანახმად, გირაოს თანხა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით და განსასჯელის ფინანსური მდგომარეობით.

მონიტორინგის ყველა წინა პერიოდთან შედარებით, მონიტორინგის პირველი პერიოდის გარდა, გირაო შეეფარდა უფრო ნაკლებ ბრალდებულს. ზოგიერთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდება პატიმრობას მოითხოვდა, სასამართლომ შეუფარდა გირაო. ამ საანგარიშო პერიოდში 326 ბრალდებულიდან 52%-ს შეეფარდა გირაო.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა გამოსახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში გირაოსა და პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით (2011 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით).


დიაგრამა №1



აღნიშნულ პერიოდში გირაო, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოყენებული იყო იმ საქმეების 34%-ში, სადაც პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა (195 პირიდან 67 პირის მიმართ). ამ საანგარიშო პერიოდში სასამართლომ ყველაზე ხშირად გამოიყენა გირაო, პროკურორის მიერ პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში, პროკურორის მიერ პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად გირაოს გამოყენების შესახებ (2011 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით).


დიაგრამა №2



უკანაკნელ საანგარიშო პერიოდში პროკურატურამ საქმეთა 36%-ში (326-დან 118 საქმეში) გირაოს გამოყენება მოითხოვა. მოთხოვნილი 118 გირაოდან სასამართლომ 102 დააკმაყოფილა. პროკურატურის მიერ გირაოს მოთხოვნათა შემთხვევების 55%-ში (102-დან 56 შემთხვევა) გირაოს სახით შეფარდებული თანხის ოდენობა მოთხოვნილზე ნაკლები იყო, შემთხვევების 45%-ში კი (46 საქმე) – თანაბარი. 16 დამატებით შემთხვევაში – სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მოთხოვნა გირაოს შესახებ, საიდანაც 5 შემთხვევაში ბრალდებული დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე, ხოლო 11 შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ გამოიყენა შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში, პროკურორის მიერ მოთხოვნილ გირაოზე უფრო ნაკლები ოდენობის გირაოს შეფარდების შესახებ (2011 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით).

დიაგრამა №3



მონიტორინგის პერიოდში გირაოს სახით შეფარდებული მაქსიმალური თანხა კვლავ შეადგენდა 50.000 ლარს, ხოლო მინიმალური კვლავ – 1.000 ლარს.


მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებით.

გირაოს დაკისრება აღკვეთის ღონისძიების სახით უნდა იყოს პროპორციული და დასაბუთებული. ეს იმას ნიშნავს, რომ გირაო უნდა იყოს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის, ასევე, სავარაუდო დანაშაულის პროპორციული და დასაბუთებული. აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას, უნდა მოხდეს ყველა შესაბამისი გარემოების ანალიზი, რათა მოსამართლე დარწმუნდეს, რომ ბრალდებულს აქვს შესაძლებლობა, გადაიხადოს შეფარდებული გირაო. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება შეფარდებული თანხის გადახდა, გირაო უნდა შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით – პატიმრობით. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელი გირაოს შეფარდება, ფაქტობრივად, პირის პატიმრობას შეიძლება უდრიდეს.

აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შესახებ გამოტანილი 169 გადაწყვეტილებიდან, საიას აზრით, 27 გადაწყვეტილება (16%) იყო დაუსაბუთებელი, რაც არის მკვეთრად უკეთესი შედეგი მონიტორინგის პროექტის თავდაპირ-

ველ პერიოდებთან შედარებით, თუმცა, უარესი – მონიტორინგის ბოლო პერიოდთან შედარებით. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს შედეგებს მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით).

დიაგრამა №4



საია მიიჩნევს რომ გირაო დაუსაბუთებელია, როდესაც:

- მოსამართლეებმა გირაოს შეფარდების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების გადაწყვეტილება მიიღეს პროკურატურის მხრიდან სათანადო დასაბუთების გარეშე, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს წარდგენილ ბრალს, ბრალდებულის პიროვნებას, მის ფინანსურ მდგომარეობას და საქმისათვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებებს. მოსამართლეთა მხრიდან ამ გარემოებების გამოურკვევლობა კიდევ უფრო საზიანოა იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულს არ ჰყავს ადვოკატი.
- ბრალდების მხარის მოთხოვნის მიუხედავად, პატიმრობის ნაცვლად გირაოს დაკისრების შემთხვევებში, მოსამართლეებს არ გამოუკვლევიათ ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა.

ქვემოთ მოყვანილია დაუსაბუთებელი გირაოს მაგალითები:

- პირს ბრალი ედებოდა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების დარღვევაში, რამაც სხეულის მძიმე დაზიანება გამოიწვია. ბრალდებული აღიარებდა და ინანიებდა დანაშაულს. იგი მანამდე ნასამართლევი არ ყოფილა. პროკურორს არ წარმოუდგენია არც ერთი არგუმენტი იმის დასადასტურებლად, რომ ბრალდებულის მიმართ რომელიმე აღკვეთის ღონისძიება მაინც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. აღნიშნულზე აპელირებდა ადვოკატი და მოითხოვდა პირის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას. ამის მიუხედავად, სასამართლომ ბრალდებულს, მისი მატერიალური მდგომარეობის გამოკითხვის გარეშე, პროკურორის მიერ მოთხოვნილი 4000 ლარი შეუფარდა გირაოს სახით.
- პირს ბრალი ედებოდა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა-შენახვა-ტარებაში და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებაში, რაც ნაკლებად მძიმე დანაშაულს წარმოადგენს. პროკურორმა პროცესზე განაცხადა რომ ბრალდებულმა დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიმალვა სცადა და ამ საფუძვლით პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა. ადვოკატმა მოითხოვა გირაო 5000 ლარის ოდენობით და პროცესზე წარმოადგინა ბრალდებულის შესახებ მისივე თანასოფლელების და მეზობლების დადებითი დახასიათებები, აგრეთვე, თავად დაზარალებულის ხელწერილი, რომელიც მიიჩნევდა, რომ გასროლა შემთხვევით მოხდა. ამასთან, ბრალდებული იყო სტუდენტი და დაკვამ უნივერსიტეტიდანაც წარმოადგინა ცნობები მისი საუნივერსიტეტო მიღწევების შესახებ. მოსამართლემ, მართალია, არ დააკმაყოფილა პატიმრობის შუამდგომლობა, მაგრამ ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობის გამორკვევის გარეშე შეუფარდა გირაო 20 000 ლარის ოდენობით და გამოიყენა საპატიმრო უზრუნველყოფა, რაც, საიას შეფასებით, ყოვლად შეუსაბამო ღონისძიება იყო საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე.
- პირს ბრალად ედებოდა პოლიციელისათვის წინააღმდეგობის განწევა. იგი წარსულში იყო ნასამართლევი, თუმცა, ნასამართლობა მოხსნილი ჰქონდა შეწყალების აქტით. ბრალდებული აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს. პროკურორი ითხოვდა გირაოს 5000 ლარის ოდენობით ისე, რომ პროცესზე არც ერთი დასაბუთებული არგუმენტი არ წარმოუდგენია, გარდა სისხლის სამართლის კოდექსით ფორმალურად განსაზღვრული საფუძვლებისა. ადვოკატი



ითხოვდა პირადი თავდებობის გამოყენებას. პროცესზე წარმოდგენილი იყო ორი თავმდები პირი, რომელთაგან ერთ-ერთს ჰქონდა კერძო სამშენებლო კომპანია და, თავდებობასთან ერთად, კისრულობდა ბრალდებულის დასაქმებასაც. ამის მიუხედავად, სასამართლომ, ყოველგვარი დასაბუთებისა და ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობის გამოკვლევის გარეშე, 5000 ლარის ოდენობით გირაო შეუფარდა.

- მცირეწლოვანი შვილების ერთადერთ მარჩინალ მამას ბრალად ედებოდა იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვა. პირმა თავად წარუდგინა სამართალდამცველებს აღნიშნული იარაღი, რის შემდეგაც იგი დააკავეს. პროკურორმა პატიმრობის გამოყენება იშუამდგომლა, თუმცა თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად კონკრეტული არგუმენტები ვერ მოიყვანა. დაცვამ გირაოს სახით 2000 ლარის გამოყენება მოითხოვა. სასამართლომ ბრალდებულს შეუფარდა 10.000 ლარის ოდენობის გირაო საპატიმრო უზრუნველყოფით, რაც იმას ნიშნავს, რომ თანხის გადახდამდე პირი პატიმრობაში დარჩებოდა. საიას აზრით, აღნიშნული იყო ყოვლად შეუსაბამო ღონისძიება. იმ შემთხვევაში, თუკი მოსამართლეს არ სურდა ბრალდებულის პატიმრობაში დატოვება, მას გირაოს სახით ისეთი თანხა უნდა შეეფარებინა, რისი გადახდის საშუალებაც ბრალდებულს ექნებოდა და რომელიც ახლოს მაინც იქნებოდა ბრალდებულის მიერ მოთხოვნილ თანხასთან. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას კი, გაუგებარი დარჩა მოსამართლის მოტივაცია.

ამის საპირისპიროდ, დაფიქსირდა სამი დადებითი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ უკანონოდ ცნო პირის დაკავების ოქმი, გაათავისუფლა ბრალდებული სხდომის დარბაზიდან და შეუფარდა გირაო მაშინ, როდესაც პროკურატურა მის პატიმრობაში დატოვებას ითხოვდა. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი შემთხვევები მონიტორინგის დასაწყისიდან (2011 წლის ოქტომბერი) პირველად დაფიქსირდა.

საია მიესალმება მსგავსი პრეცედენტის შექმნას და იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში მოსამართლეები უფრო ხშირად გამოიყენებენ ამ შესაძლებლობას და ბრალდებულს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში დატოვებენ პატიმრობაში.

პირველ შემთხვევაში, ორ პირს ბრალად ედებოდა ქურდობა. პროკურორი მათ მიმართ პატიმრობის გამოყენებას მოითხოვდა.

ადვოკატმა სათანადოდ ვერ მოახერხა პროკურორის სუსტი მხარეების წარმოჩენა და ამით ბრალდებულის პოზიციის გამყარება, თუმცა, მოსამართლემ სრულყოფილად განახორციელა თავისი მოვალეობა და შეეცადა გამოერკვია, რამდენად საფუძვლიანი იყო პირების დაკავება და შემდგომ მათთვის პატიმრობის შეფარდება:

**მოსამართლე:** „რა სახით მოხდა ბრალდებულებისა და გამომძიებლის ურთიერთობა?“

**პროკურორი:** „ბრალდებულები დაბარებულნი იყვნენ [საგამომძიებო ორგანოში] მოწმის სახით. მათ დაკითხვის დროს აღიარეს, რომ ჩაიდინეს ქურდობა.“

**მოსამართლე:** „რა საფუძვლით მოხდა მათი დაკავება?“

**პროკურორი:** „არსებობდა მიმალვის საფრთხე.“

**მოსამართლე:** „ერთი მტკიცებულება მიმითითეთ საქმეში, რომლითაც გაჩნდება ვარაუდი იმისა, რომ ბრალდებულები შესაძლოა მიემალნენ გამომძიებლს.“

პროკურორებმა აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი ვერ გასცეს, შესაბამისად, მოსამართლემ უკანონოდ ცნო ბრალდებულთა დაკავების ოქმი, შეუფარდა მათ გირაო და გაათავისუფლა სხდომის დარბაზიდან.

### გირაოს გამოყენების მეორე დადებითი მაგალითი

პირს ბრალად ედებოდა ქურდობა ორ ეპიზოდად, კერძოდ, მან მოიპარა 2 ბოთლი კონიაკი, რომელთა ღირებულება ჯამში 882 ლარს შედგენდა. პოლიციამ ეს პირი გადაუდებელი აუცილებლობით დააკავა ლამის საათებში და პროცესზეც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა. მოსამართლემ ბრალდების მხარეს მოსთხოვა, დაესაბუთებინა პირის გადაუდებელი დაკავების საფუძვლები. პროკურორმა განაცხადა, რომ არსებობდა ბრალდებულის მიმალვის საფრთხე. მოსამართლემ ეს არგუმენტი არ გაიზიარა შემდეგ გარემოებათა გამო: ბრალდებული ნებაყოფლობით გაჰყვა სამართალდამცავებს საგამომძიებო ორგანოში, დანაშაულის ჩადენის შემდეგ არ უცდია მიმალვა და არ შეუცვლია საცხოვრებელი ადგილი. გამომდინარე აქედან, მოსამართლემ უკანონოდ ცნო პირის დაკავება, ბრალდებულს შეუფარდა გირაო და სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.

## 1.2.2. პატიმრობა

პატიმრობა წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას, შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების აღნიშნული ზომის გამოყენება, ბრალის საბოლოოდ დამტკიცებამდე, პიროვნების თავისუფლების უფლებასთან კავშირში უნდა განიხილებოდეს, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა.

თავისუფლების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით,<sup>10</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით<sup>11</sup> და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.<sup>12</sup>

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების თანახმად, ბრალდებულის დაპატიმრების საფუძველი, ბრალის საბოლოოდ დამტკიცებამდე, არის: ა) პირის მიმალვის საფრთხე; ბ) მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელშეშლის საფრთხე; გ) ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება. პატიმრობის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებები არაეფექტურია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის<sup>13</sup> და ეროვნული საპროცესო კანონმდებლობის<sup>14</sup> თანახმად, სასამართლო ვალდებულია, მხარეთა შუამდგომლობის შემთხვევაში პატიმრობის კანონიერება პერიოდულად გადასინჯოს, ხოლო ასეთი შუამდგომლობის განხილვაზე უარი თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ჩრდილში განიხილება.

### გამოვლენილი შედეგები

გაუმჯობესებული მდგომარეობა დაფიქსირდა ამ პერიოდში პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, გამოყენების მიმართულებით. მართალია, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, პროკურატურა უფრო ხშირად ითხოვდა პატიმრობის შეფარდებას, თუმცა, ბრალდების მხარის შუამდგომლობები

<sup>10</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები.

<sup>11</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 5.1.

<sup>12</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 205.(1).


<sup>13</sup> *Jėčius v. Lithuania; The Right to Liberty and Security of the Person, A Guide to the Implementation of Article 5 of the European Convention on Human Rights*, Monica Macovei, *Human Rights Handbooks*, No.5, Council of Europe, p.60-61.

<sup>14</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 206.

პატიმრობის თაობაზე უფრო მეტად იყო დასაბუთებული. ამასთან, როცა ბრალდების მხარის შუამდგომლობა პატიმრობის შეფარდების თაობაზე არ იყო დასაბუთებული, სასამართლო უფრო იშვიათად აკმაყოფილებდა მას.<sup>15</sup>


პირველ განხილვაზე წარმოდგენილი 326 ბრალდებულიდან პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა 195 შემთხვევაში (60%), რაც ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელია მონიტორინგის დასაწყისიდან (2011 წლის ოქტომბერი). აქედან სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა 121 შემთხვევაში (62%) დააკმაყოფილა. ეს არის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მონიტორინგის პროექტის დასაწყისიდან. ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა ასახავს ამ მიმართულებით მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ შედეგებს (2011 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით):

დიაგრამა №5




<sup>15</sup> აღნიშნული საიას მიერ პირველად დაფიქსირდა მონიტორინგის წინა პერიოდში, 2011 წლის ოქტომბრიდან, როდესაც საიამ დაიწყო სასამართლო სხდომების დაკვირვება. 2012 წლის ოქტომბრამდე მსგავსი შემთხვევა, როცა სასამართლო არ დაეთანხმა პროკურატურის შუამდგომლობას პატიმრობის შეფარდების შესახებ, საიას არ დაუფიქსირებია.

დიაგრამა №6



პატიმრობის შეფარდების 121 შემთხვევიდან, საიამ ცხრა (7%) მიიჩნია დაუსაბუთებლად, როდესაც პროკურატურას არ ჰქონდა საკმარისი არგუმენტები პატიმრობის შეფარდებისთვის და მხოლოდ დანაშაულის სიმძიმეს იყენებდნენ თავიანთი პოზიციის დასაბუთებლად. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელი პერიოდის შედეგებს:

დიაგრამა №7



### **დაუსაბუთებელი პატიმრობის მაგალითი**

პირს ბრალად ედებოდა პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევა, რაც ნაკლებად მძიმე დანაშაულს წარმოადგენს. ყოველგვარი კონკრეტული არგუმენტის გარეშე, პროკურორმა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მოითხოვა. დაცვამ პროცესზე აღნიშნა, რომ ბრალდებულს ჰყავდა 3 მცირეწლოვანი შვილი, პენსიონერი დედა და თავად იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. ადვოკატმა გირაოს სახით 3000 ლარის შეფარდება მოითხოვა. სასამართლომ ბრალდებულს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე პატიმრობა შეუფარდა.

### **1.2.3. პირადი თავდებობა**

მონიტორინგის მიმდინარეობის პერიოდში გამართულ პირველი წარდგენის სხდომებზე დაცვის მხრიდან პირადი თავდებობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, შეთავაზება დაფიქსირდა 326-დან 2 ბრალდებულთან მიმართებით. აღნიშნული 2 შეთავაზებიდან მოსამართლემ არც ერთი დააკმაყოფილა.

სასამართლომ პირადი თავდებობა გამოიყენა 2 სხვა შემთხვევაში. აქედან ერთ საქმეში ამ ღონისძიების გამოყენება თავად პროკურორმა ითხოვა, რაც პირველი შემთხვევა იყო მთელი მონიტორინგის (2011 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის აგვისტომდე) განმავლობაში. მეორე საქმეში კი, სასამართლომ, საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, საკუთარი ინიციატივით შეუფარდა ბრალდებულს პირადი თავდებობა პატიმრობის ნაცვლად. საია ამას დადებითად აფასებს და მიიჩნევს, რომ ყველა შემთხვევაში მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს აქტიურობა და, პირადი თავდებობის შეფარდების შესაძლებლობის არსებობისას, გამოიყენოს აღნიშნული ღონისძიება.

### **1.2.4. შეთანხმება გაუსვლელია და სათანადო ქცევის შესახებ**

შეთანხმება გაუსვლელია და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებული იყოს აღკვეთის ღონისძიების სახით, თუ პირს ბრალად ედება დანაშაული, რომელიც არ ითვალ-

ისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე მეტი ვადით.<sup>16</sup> მონიტორინგის პერიოდში, კანონმდებლობიდან გამომდინარე, 48 ბრალდებულის მიმართ შესაძლებელი იყო ამ სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება. აღნიშნული 48 შემთხვევიდან სასამართლომ 13 შემთხვევაში მიიჩნია მიზანშეწონილად ამ ღონისძიების გამოყენება. წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, ეს უფრო მაღალი მაჩვენებელია და საია იმედოვნებს, რომ სასამართლოები მომავალში კიდევ უფრო ხშირად გამოიყენებენ ამ ღონისძიებას ყველა შესაბამის შემთხვევაში.

დანარჩენი 35 შემთხვევიდან 4 ბრალდებული სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების გარეშე გაათავისუფლა. 31 ბრალდებულის მიმართ კი, სამწუხაროდ, მოსამართლეს არ უცდია, ემსჯელა ალტერნატიული ღონისძიების შეფარდების შესაძლებლობაზე, შესაბამისად, გამოიყენა გირაო და პატიმრობა.

**ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების დადებითი მაგალითები**

*ოთხ მსგავს საქმეში პირებს ბრალი ედებოდათ ... ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში (სსკ 273-ე მუხლი). არც ერთ პროცესში არ მონაწილეობდა ადვოკატი და ბრალდებულები თავს თვითონ იცავდნენ. პროკურატურა ოთხივე შემთხვევაში დასაბუთების გარეშე ითხოვდა გირაოს გამოყენებას, ბრალდებულები კი ამ ღონისძიების გამოყენებას არ ეთანხმებოდნენ. აღნიშნულ საქმეებში მოსამართლემ სრულყოფილად განახორციელა თავისი მოვალეობა და ბრალდებულებს შეუფარდა უფრო მსუბუქი სახის პროპორციული ღონისძიება — შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელიობის შესახებ.*

**1.3. საქმეთა განხილვის წინასწარი გამოქვეყნება**

პირველი წარდგენის სხდომათა მონიტორინგმა ასევე დაადასტურა არსებული პროცედურული პრობლემები, რომლებიც ბრალდებულს ართმევს საჯარო განხილვის უფლებას, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით,<sup>17</sup> ადამიანის

<sup>16</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 202.

<sup>17</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85.

უფლებათა ევროპული კონვენციით<sup>18</sup> და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.<sup>19</sup>

იმისათვის, რომ ეს უფლება ეფექტურად გამოიყენებოდეს, საკმარისი არ არის, საზოგადოებას მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის განხილვაზე დასწრების უფლება ჰქონდეს. საზოგადოებას ასევე აქვს უფლება, წინასწარ იცოს ინფორმირებული საქმის მოსმენის შესახებ, რათა შეძლოს სხდომაზე დასწრება. აქედან გამომდინარე, საჯარო განხილვის უფლება სასამართლოს ავალდებულებს, წინასწარ გამოაქვეყნოს პირველი მოსმენის დრო და ადგილი, ბრალდებულის სრული სახელი და გვარი, ასევე, მუხლები, რომლითაც ბრალი აქვს წაყენებული.

### **გამოვლენილი შედეგები:**

იმ 283 პირველი წარდგენის სხდომიდან, რომელთა მონიტორინგსაც საია ახორციელებდა, კვლავ არც ერთის შესახებ არ გამოქვეყნებულა ინფორმაცია წინასწარ (141 სხდომა გაიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში, 37 – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში და 105 – ბათუმის საქალაქო სასამართლოში).

პირველი წარდგენის სხდომათა შესახებ ინფორმაციის გამოუქვეყნებლობის პრობლემა, 2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც მონიტორინგის განხორციელება დაიწყო, საიას ყველა ანგარიშში აისახა. საკითხზე ყურადღების გამახვილების მიუხედავად, სიტუაცია უცვლელი რჩება. სასამართლო სისტემის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ამის მიზეზი ტექნიკური შეზღუდვები იყო, რაც უკავშირდებოდა პირველი წარდგენის სხდომების ჩატარებას ბრალდებულის დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში. ამასთან, გამოთქვამდნენ მზადყოფნას აღნიშნული ტექნიკური პრობლემების მოგვარების კუთხით. დაპირების მიუხედავად, ამ მიმართულებით დღემდე არავითარი ღონისძიება გატარებულია.

ამ მხრივ, ვითარება გარკვეულწილად უკეთესია ბათუმისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში, სადაც, მართალია, მოსმენის თარიღები ელექტრონულ მონიტორებზე არ ქვეყნდება, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოში, მაგრამ, განხილვის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე, სასამართლების მისაღებებში მანდატური აცხადებს ინფორმაციას ჩანიშნული სხდომის

<sup>18</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 6.1.

<sup>19</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 10.



ადგილისა და ბრალდებულის ვინაობის შესახებ. თუმცა, იგი არ აცხადებს ნაყენებულ ბრალს.

საია მიიჩნევს, რომ ბათუმისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში არსებული გამოცხადების მეთოდი არ არის სრულყოფილი, რადგან პირს, რომელსაც სურს პირველი წარდგენის სხდომაზე დასწრება, არ შეუძლია დაადგინოს დრო და ადგილი გონივრული ვადით ადრე. უფრო მეტიც, საზოგადოებას არ ეცნობება ბრალდების შესახებ. საიას იმედოვნებს, რომ ეს არის დროებითი ზომა, სანამ სასამართლოს ადმინისტრაცია ტექნიკურ საკითხებს გადაწყვეტს.

## II. წინასასამართლო სხდომები

წინასასამართლო სხდომაზე სასამართლო არკვევს იმ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, რომლებიც ძირითად სხდომაზე განიხილება. ეს ეტაპი უკიდურესად მნიშვნელოვანია, რადგანაც მხოლოდ დასაშვებ მტკიცებულებაზე დაყრდნობით გამოაქვს მოსამართლეს განაჩენი საქმის არსებითი განხილვის შედეგად. გარდა ამისა, ამ ეტაპზევე მიიღება გადაწყვეტილება, სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდეს, თუ გაგრძელდეს საქმის განხილვა არსებითად.<sup>20</sup>

სასამართლოს გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის მიმართ უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი ორივე მხარის მიმართ. ბრალდებულის უფლებას მიუკერძოებელ სამართალწარმოებაზე აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო სხდომები, როგორც წესი, ეხება მტკიცებულებათა დასაშვებობას, მხარეებს ასევე შეუძლიათ, დააყენონ სხვა შუამდგომლობებიც.

### **გამოვლენილი შედეგები**

საიას მიერ მონიტორინგის პროექტის დაწყებიდან მოყოლებული (2011 წლის ოქტომბერი) უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში

<sup>20</sup> სასამართლომ უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ ის მაღალი ალბათობით დაადგენს, რომ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით არ დგინდება ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა.

უკვე მეორედ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სასამართლომ წინასასამართლო განხილვის ეტაპზე შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა.

სხვა მხრივ, მონიტორინგის მიმდინარე პერიოდის დაკვირვების შედეგები თითქმის სრულად ემთხვევა წინა პერიოდში გამოვლენილ შედეგებს. სასამართლო ამჯერადაც ძირითადად ეთანხმება ბრალდების მხარის შუამდგომლობას წარდგენილი მტკიცებულებების დაშვების შესახებ, ხოლო დაცვა ეთანხმება ბრალდების მხარის შუამდგომლობებს. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დაცვის წინააღმდეგობა პროკურორის შუამდგომლობებზე 36%-დან 23%-მდე შემცირდა.

წინასასამართლო სხდომებზე დაკვირვების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი საინტერესო ტენდენციები:

- 226 წინასასამართლო სხდომიდან 26 გადაიდო, ერთი კი ნაწილობრივ დაიხურა. დარჩენილ 199 შემთხვევაში, პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობები მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ. აქედან 9 სხდომა გადაიდო მანამ, სანამ მოსამართლე გადაწყვეტილებას მიიღებდა. დანარჩენი 194 საქმიდან სასამართლომ 184 შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილა ბრალდების მხარის ყველა შუამდგომლობა წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ, 6 შემთხვევაში კი – ნაწილობრივ.
- პროკურატურის 199 შუამდგომლობიდან 24-ს დაცვა არ დაეთანხმა. აღნიშნული 24 პროტესტიდან სასამართლომ ხუთ შემთხვევაში ნაწილობრივ დაუშვებლად ცნო პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, ექვს შემთხვევაში კი, სხდომა გადაიდო მანამ, სანამ მოსამართლე გადაწყვეტილებას მიიღებდა.
- დაცვამ მტკიცებულებათა წარდგენის თაობაზე შუამდგომლობა დააყენა 195-დან მხოლოდ 48 შემთხვევაში (24%).<sup>21</sup> 48-დან 34 შემთხვევაში პროკურატურა დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობებს და სასამართლომ დააკმაყოფილა ისინი. დანარჩენი 14 შუამდგომლობიდან, სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა 3 მათგანი, ნაწილობრივ დააკმაყოფილა კიდევ 3, უარი თქვა 4 შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და 4 სხდომა გადაიდო მანამ, სანამ მოსამართლე შუამდგომლობის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებდა.

<sup>21</sup> 226 სხდომიდან 31 გადაიდო მანამ, სანამ დაცვა დააყენებდა შუამდგომლობას მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ.

### III. საპროცესო შეთანხმების სხდომები

საპროცესო შეთანხმება სამართალწარმოების დაჩქარებული სახეა, სადაც დაცვა და ბრალდება შორის ფორმდება შეთანხმება ბრალსა ან სასჯელზე, ბრალის აღიარებით, ან მის გარეშე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის თანახმად, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებებია წარდგენილი და, თუკი მოსამართლე მიიღებს დამარწმუნებელ პასუხებს, რომ პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი, მას გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.

იმისათვის, რომ უზრუნველყოს სასჯელის სამართლიანობა, მოსამართლემ უნდა განიხილოს არსებული გარემოებები, ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები, დანაშაულის ჩადენის გარემოებები და შეთანხმებული სასჯელი. კანონი არ აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს სასჯელის სამართლიანობის უზრუნველყოფა. თუმცა, სასჯელის შეფარდების ზოგადი პრინციპების თანახმად, მაგალითად, ჯარიმის შეფარდებისას, მოსამართლეს შეუძლია გამოარკვიოს: როგორია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა; შეუძლია თუ არა მას ჯარიმის გადახდა; არის თუ არა ჯარიმის თანხა მიყენებული ზიანის შესაბამისი; გარემოებები, რომლებშიც დანაშაული იქნა ჩადენილი და მოსალოდნელი სასჯელის ზომა. გარდა ამისა, მოსამართლეს შეუძლია, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, ცვლილებები შეიტანოს საპროცესო შეთანხმებაში. კერძოდ, კანონის თანახმად, თუკი მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს, ან დაადგენს, რომ საპროცესო შეთანხმება არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვა მოთხოვნებს, მოსამართლეს შეუძლია, მხარეებს შესთავაზოს, სხდომის მიმდინარეობისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რასაც თან უნდა დაერთოს ზემდგომი პროკურორის თანხმობა. იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლოს საპროცესო შეთანხმების შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, ის უარს ამბობს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე.


ეს ანიჭებს მოსამართლეს შეზღუდულ, მაგრამ გარკვეულ ბერკეტს, ზეგავლენა მოახდინოს სასჯელის სამართლიანობაზე.

### **გამოვლენილი შედეგები:**

მონიტორინგის წინა პერიოდებისგან განსხვავებით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, საპროცესო შეთანხმების განხილვისას, სასამართლო უფრო გააქტიურდა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. მაშინ, როდესაც წინა საანგარიშო პერიოდებში საკითხის განხილვისას მოსამართლე იზღუდებოდა მისი საქმიანობის პროცედურული ვალდებულებებით და ბრალდებულისთვის ფორმალური კითხვის დასმით იმის შესახებ, ეთანხმებოდა თუ არა იგი საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ საერთოდ უარი თქვა სამი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე, რადგან მისი პირობები არასამართლიანად და უკანონოდ მიიჩნია. გარდა ამისა, 7 სხდომაზე მოსამართლემ დასვა კითხვები და შეეცადა გამოერკვია, რამდენად სამართლიანი იყო შეთანხმებული სასჯელი. ერთ შემთხვევაში, მოსამართლემ პროკურორს შეამცირებინა შეთანხმებით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა, რადგან მიიჩნია, რომ ის ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობის არაპროპორციული იყო. 2 სხვა საპროცესო შეთანხმებაში მოსამართლემ შეიტანა ტექნიკური კორექტივები და გამოასწორა სამართლებრივი ხარვეზები.


204 სხდომიდან, სადაც სასამართლომ შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღო, 135 სხდომაზე (66%) საპროცესო შეთანხმება გაფორმდა. წინა პერიოდთან შედარებით, ოდნავ შემცირდა იმ საპროცესო შეთანხმებების პროცენტული წილი, როდესაც ბრალდებულს ჯარიმა დაეკისრა. ეს არის იმ ტენდენციის გაგრძელება, რომელიც საიას მიერ ამ საკითხზე დაკვირვების დაწყებიდან მოყოლებული ფიქსირდება. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის იმ პერიოდების მანძილზე, როდესაც საია აკვირდებოდა ჯარიმების გამოყენების სიხშირეს (2012 წლის ივლისიდან 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით).

დიაგრამა №8



რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებებით დაკისრებული ჯარიმების საშუალო ოდენობას, მიუხედავად ბოლო საანგარიშო პერიოდებში ამ მაჩვენებლის შემცირების ტენდენციისა, აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ის კვლავ გაიზარდა. მიმდინარე პერიოდში 59 საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ჯარიმის დაკისრებით, რამაც ჯამში 287.000 ლარი შეადგინა (საშუალოდ, თითოეულ საპროცესო შეთანხმებაზე 4.873 ლარი). ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის იმ პერიოდების მანძილზე, როდესაც საია აკვირდებოდა ამ მაჩვენებლების ცვალებადობას (2012 წლის ივლისიდან 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით).


დიაგრამა №9



მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში ჯარიმების ოდენობა მერყეობდა 1000-დან 30.000 ლარამდე. წინა პერიოდში კი – 500-დან 5.000 ლარამდე.

ამ საანგარიშო პერიოდში საპროცესო შეთანხმებებში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელი 7%-დან 5%-მდე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მესამე საანგარიშო პერიოდში (ივლისი-დეკემბერი, 2012) ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1%-ს შეადგენდა. 1%-დან 7%-მდე გაიზარდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელი მეოთხე საანგარიშო პერიოდში (იანვარი-ივნისი, 2013) და ის უცვლელი დარჩა მეხუთე საანგარიშო პერიოდშიც (ივლისი-დეკემბერი, 2013). ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის იმ პერიოდების მანძილზე, როდესაც საია აკვირდებოდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების სიხშირეს საპროცესო შეთანხმებებში (2012 წლის ივლისიდან 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით).

დიაგრამა №10



**საქმე, რომელშიც მოსამართლემ პროკურორს  
შეთანხმებული ჯარიმა შეამცირებინა**

პენსიონერ ქალბატონს ბრალი ედებოდა ქურდობაში. მასთან მიღწეულ იქნა საპროცესო გარიგება, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულს სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ჩაეთვლებოდა პირობითად და 3 წლით გამოსაცდელი ვადა. ამასთან, მას უნდა დაკისრებოდა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით. მოსამართლემ ბრალდებულის პიროვნებისა და მატერიალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, არასამართლიანად მიიჩნია შეთანხმებული ჯარიმის ოდენობა და პროკურორს სთხოვა, დაეზუსტებინა მოთხოვნა. პროცესზე შესვენება გამოცხადდა. სხდომის განახლებისას პროკურორმა განაცხადა, რომ თანახმა იყო ჯარიმა 2000 ლარით განსაზღვრულიყო. ამის შემდეგ მოსამართლემ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.

**ბ. დაკვირვების შედეგები ცალკეული უფლების  
მიხედვით**

**1. მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი**

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ძირითადი პრინციპებია, რაც დადგენილია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 და 25-ე მუხლებით.

ამ პრინციპების თანახმად, მხარეებს აქვთ უფლება, წარმოადგინონ მტკიცებულებები და ისარგებლონ თანაბარი უფლებებით საქმის მსვლელობისას.<sup>22</sup> ამ უფლების დასაცავად, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და მისცეს მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა, გამოიკვლიონ მტკიცებულებები. გარდა ამისა, მოსამართლე არ უნდა გასცდეს წარდგენილი ბრალდების ფარგლებს, არამედ უნდა შემოიზღუდოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებით.

<sup>22</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42.6.

მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის წარმოების პროცესში, სადაც ბრალდების მხარე შესაბამისი სახელმწიფო რესურსით და ძალაუფლებით სარგებლობს, ხოლო დაცვის მხარეს ასეთი უპირატესობა არ გააჩნია.

### **გამოვლენილი შედეგები**

საიას დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლეები უმეტესად მოქმედებდნენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფდნენ, რათა ყველა მხარეს ჰქონოდა თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი ინტერესების წარმოსადგენად.

უმეტეს შემთხვევაში, მოსამართლეები არ ერეოდნენ მონმეთა დაკითხვაში, წარმატებით იცავდნენ წესრიგს სასამართლო დარბაზში და უზრუნველყოფდნენ მხარეთა თანასწორობას.

მიუხედავად ამისა, საიამ დააფიქსირა გარკვეული ხარვეზები. ორ შემთხვევაში მოსამართლე შეიჭრა პროკურორის უფლებამოსილებაში, ჩაერია მონმის დაკითხვის პროცესში და უხეშად დაარღვია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი:

- ერთ-ერთ არსებითი განხილვის სხდომაზე პროკურორმა ვერ მოახერხა მონმების სათანადოდ დაკითხვა. მისი ფუნქცია მოგვიანებით მოსამართლემ იტვირთა და პროკურორის დასასმელი კითხვები თავად დასვა. მოსამართლემ მთლიანობაში 17 შეკითხვა დაუსვა მონმებს პროკურორის სასარგებლოდ.
- მეორე საქმეში მოსამართლემ ბრალდების მხარეს თავად განუსაზღვრა მონმის დაკითხვის სტილი. კერძოდ, მიუთითა, რომ ჯერ მონმეს დაეწყო ამბის თავისუფალი თხრობა და ამის შემდეგ დაესვა პროკურორს დამაზუსტებელი შეკითხვები.

მონიტორინგის დროს გამოვლინდა სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკა რიგ საკითხებთან მიმართებით:

- სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომა ჰქონდა სხდომაზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულებების განხილვასთან დაკავშირებით, რომლებიც მხარეებს სისხლის სამართლის პროცესის ნორმების



დაცვით წინასწარ არ ჰქონდათ ერთმანეთისათვის გაცვლილი. მოსამართლემ ერთ შემთხვევაში უარი განაცხადა მსგავსი მტკიცებულებების განხილვაზე. იმავე დღეს გამართულ სხვა სხდომაზე კი, იგივე მოსამართლე გაეცნო ასეთ მტკიცებულებებს, თუმცა, არ დაურთო ისინი თავის გადაწყვეტილებას. კერძოდ, პირველ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა ბრალდებულის ქორწინებისა და ბავშვების დაბადების მონაწილეობას, რომლებიც პროცესზე წარმოადგინა დაცვამ, მოსამართლემ კი, უარი განაცხადა მათ გაცნობაზე. მეორე შემთხვევაში, ადვოკატმა ბრალდებულის სერტიფიკატები და დიპლომები წარმოადგინა, რომელთაც მოსამართლე გაეცნო. საინტერესოა, რომ მოსამართლემ, ორივე შემთხვევაში, გამოიყენა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილი.<sup>23</sup>

- ერთ-ერთ საქმეში სასამართლო არაერთგვაროვნად აწესრიგებდა მონაწილეთა დაკითხვის პროცესს. კერძოდ, ივანე მერაბიშვილის<sup>24</sup> საქმეში (26 მაისის ეპიზოდი) ნინო ბურჯანაძის<sup>25</sup> ჯვარედინი დაკითხვის დროს დაცვას არ მიეცა მისი სრულფასოვნად დაკითხვის საშუალება, რადგან მოსამართლემ ბურჯანაძეს მისცა სრული თავისუფლება პასუხის გაცემის დროს და მონაწილე, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის ნაცვლად, აკეთებდა პოლიტიკურ განცხადებებს და საუბრობდა ყველა მისთვის სასურველ თემაზე, მათ შორის, უკრაინაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე. მოსამართლე ადვოკატს არ აძლევდა მონაწილეთა შეჩერების და ხელახლა კითხვის დასმის საშუალებას, რის გამოც, დაკითხვა 3 საათს გაგრძელდა და დაცვისათვის საკმაოდ არაეფექტური გამოდგა. სხვა მონაწილეთა მიმართ მოსამართლეს მსგავსი არასწორი პრაქტიკა არ გამოუყენებია.

საია მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რათა

---

<sup>23</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 86.6: „წინასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთსა და სასამართლოს უნდა მიანოლონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ“.

<sup>24</sup> ივანე მერაბიშვილი — შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

<sup>25</sup> ნინო ბურჯანაძე — პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე.

გამოირიცხოს შერჩევითი მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობა, მხარეები თანაბარ პირობებში იქნენ ჩაყენებულნი და მიეცეთ საშუალება, წინასწარ განსაზღვრონ თავიანთი პოზიციებისათვის სასარგებლო სტრატეგია.

საიამ აგრეთვე დააფიქსირა სასამართლო არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სასამართლო დარბაზებში წესრიგის დაცვის კუთხით. რიგ შემთხვევაში, სასამართლო იყო არაადეკვატურად ღმობიერი, რაც აზარალებდა პროცესის ეფექტურად წარმართვას, სხვა შემთხვევაში კი – ის იღებდა საჭირო ზომებს დარბაზში წესრიგის დასამყარებლად. მაგალითად:

- ერთ-ერთ განხილულ სხდომაზე ივანე მერაბიშვილის წინააღმდეგ, რომელიც შეეხებოდა 26 მაისის აქციის დაშლის ეპიზოდს, მოსამართლეს ძალიან უჭირდა წესრიგის დაცვა. დამსწრე პირები ხმაურობდნენ და მოწმეთა ემოციურ ჩვენებებზე იცინოდნენ. პროცესზე ამის გამო პროკურორებმაც გამოთქვეს პრეტენზია. მოსამართლე კი მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლებოდა, არ იყენებდა მისთვის კანონით მინიჭებულ უფრო მკაცრ ღონისძიებებს და, რეალურად, ვერ ახერხებდა სხდომათა დარბაზში არსებული სიტუაციის მართვას.
- სხვა საქმის ერთ-ერთ განხილვაზე სხდომის მიმდინარეობისას დამსწრეები ხმამაღლა აფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციას, დარბაზში ისმოდა ისეთი რეპლიკები, როგორიცაა „კომედი შოუ“ და სხვა. პროკურორებმა აღნიშნეს, რომ ხელი ეშლებოდათ მოწმეების დაკითხვაში. ამის შემდეგ მოსამართლე შემოიფარგლა დარბაზისათვის გაფრთხილების მიცემით, რამაც შედეგი ვერ გამოიღო. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც შეუძლებელი გახდა პროცესის გაგრძელება, მოსამართლემ არაფორმალურად გააძევა 2 პირი. კერძოდ, მათ არ ჩამოართვა პირადობის მოწმობები და არ მოინიშნა მათი ვინაობა, რათა მომდევნო პროცესებზე ამ პირებს შეზღუდვოდან პროცესზე დასწრების უფლება. საიას მონიტორისათვის სასამართლო მანდატურის საუბრიდან ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული პირები საქმის განხილვის ყოველ სხდომაზე არღვევდნენ წესრიგს და ხელს უშლიდნენ პროცესის ნორმალურ პირობებში წარმართვას.
- კიდევ ერთ ჩვეულებრივ პროცესზე, დარბაზი ხმაურობდა და ხელი ეშლებოდა პროცესის წარმართვას. მიუხედავად იმისა, რომ დარბაზი იყო მცირე ზომის და მისი გაკონ-

ტროლევა პრობლემას არ წარმადგენდა, მოსამართლეს ხმაურის გამომწვევი პირებისთვის შენიშვნა არ მიუცია.

- ამის საპირისპიროდ, ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეში ბაჩანა ახალაიას<sup>26</sup> წინააღმდეგ, პროცესზე მოწმის დაკითხვის დროს, მის მიმართ დამსწრეთა მხრიდან მუდმივად გამოიხატებოდა აგრესია, კერძოდ, მას აგინებდნენ და სხვაგვარ შეურაცხმყოფელ სიტყვებს ეძახდნენ. ამის გამო, მოსამართლემ რამდენიმე პირი გააძევა დარბაზიდან. ვინაიდან ამ სანქციებმა სათანადო შედეგი ვერ გამოიღო და დამსწრე პირები განაგრძობდნენ წესრიგის დარღვევას, მოსამართლემ დახურა პროცესი და ისე განაგრძო საქმის განხილვა.

### სხვა დასკვნები:

- 498 არსებითი განხილვის სხდომიდან (ამაში შედის ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით ჩატარებული 3 სხდომა), რომლებსაც საიას მონიტორები ესწრებოდნენ, 7 სხდომა დაიხურა. დანარჩენი 491 სხდომიდან 206-ში (42%) დაიკითხნენ მოწმეები. ამ 206 საქმიდან 7-ში მოსამართლემ კითხვები დაუსვა მოწმეებს. 7 საქმიდან მოსამართლემ საპროცესო მოთხოვნები დაარღვია ოთხ შემთხვევაში, როდესაც კითხვები დაუსვა მოწმეს მხარეთა თანხმობის გარეშე. ეს მონაცემი გაუმჯობესებულია მონიტორინგის თავდაპირველ საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, როდესაც მოსამართლეები უფრო ხშირად სვამდნენ შეკითხვებს პროცესუალური მოთხოვნების დარღვევით.
- წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, რამდენიმე არსებითი განხილვის სხდომაზე კვლავ არ იყო მოწესრიგებული უკვე დაკითხული და დასაკითხი მოწმეების განცალკევების საკითხი, რაც, წესით, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს.<sup>27</sup> მოწმეები დარბაზის გარეთ იდგნენ და ერთმანეთს უყვებოდნენ, თუ რა ჩვენება მისცეს. ამის აღსაკვეთად კი, სამსუხაროდ, სასამართლოს არაფერი უღონია.

<sup>26</sup> ბაჩანა (ბაჩო) ახალაია — თავდაცვის ყოფილი მინისტრი და სასაჯელსრულების სისტემის ყოფილი ხელმძღვანელი.

<sup>27</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „მოწმე უნდა დაიკითხოს სხვა მოწმეთაგან განცალკევებით. ამასთანავე, სასამართლო იღებს ზომებს, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ.“

## II. დაცვის უფლება

ბრალდებულის დაცვის უფლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გარანტს სისხლის სამართალწარმოების დროს. აღნიშნული უფლება დაცულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლი მოითხოვს, რომ ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი, როდესაც დაცვის უფლება შესაძლოა შეილახოს, მაგალითად, როდესაც ბრალდებული არ ფლობს საქმისწარმოების ენას, მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, ან არის ფიზიკურად ან ფსიქიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რაც ხელს უშლის მას, თავად დაიცვას საკუთარი ინტერესები.

დაცვის უფლების სრული რეალიზაციისთვის, დაცვის მხარეს უნდა მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, მოამზადოს თავისი პოზიცია. ამასთან, ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი საშუალება საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების დასაცავად.

### **გამოვლენილი შედეგები:**

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ, ძირითადად, უზრუნველყოფილი იყო დაცვის უფლება და ადვოკატის მონაწილეობა პროცესებში კანონით განსაზღვრული სავალდებულო დაცვის შემთხვევებში.

გარდა ამისა, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვამ ითხოვა განხილვის გადადება იმისათვის, რომ უკეთ გასცნობოდა საქმის მასალებს და მომზადებულიყო, მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარე ასეთ შუამდგომლობებს არ აპროტესტებდა.

მიუხედავად ამისა, გამოვლინდა დაცვის უფლების დარღვევის გარკვეული შემთხვევები, რა დროსაც ხან სასამართლომ არ მიიღო შესაბამისი ზომები დაცვის უფლების სრულყოფილად განსახორციელებლად, ხან სამართალდამცავებმა შეუზღუდეს ბრალდებულს დაცვის უფლება, ხან კი თავად ადვოკატი იყო არაკვალიფიციური, ან იჩენდა პასიურობას და არ იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს ბრალდებულის ინტერესების დასაცავად.

სასამართლოს და სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაცვის უფლების დარღვევის მაგალითები:

- ერთ-ერთ პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულმა განაცხადა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამკურნალოდ, ამის შესახებ კი პროკურატურას არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობა. შესაბამისად, შესაძლოა პირი დაქვემდებარებოდა სავალდებულო დაცვას, პროკურორს და სასამართლოს კი ამის გამოსარკვევად არაფერი უღონიათ. საია მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დაცვის უფლების სავარაუდო დარღვევას.

### **მოსამართლის რეაგირების დადებითი მაგალითი**

ერთ-ერთ პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებული იყო აზერბაიჯანის მოქალაქე, რომელიც არ ფლობდა ქართულ ენას, შესაბამისად, ექვემდებარებოდა სავალდებულო დაცვას. პროცესზე გაირკვა, რომ პირი დააკავეს 24 მარტს, ადვოკატი კი 27 მარტამდე ვერ დაენიშნა. პროკურორმა განაცხადა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რადგან მათ ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით იურიდიული დახმარების ბიუროს მიმართეს 26 მარტს, თუმცა, მიმართვა მათთან 27 მარტს მივიდა. მოსამართლემ მართებულად მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა დაცვის უფლების დარღვევას. მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას ეს გარემოებაც გაითვალისწინა, ბრალდებული გაათავისუფლა პატიმრობიდან და შეუფარდა გირაო.

- კიდევ ერთ პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულმა განაცხადა, რომ დაკავების პერიოდში მას არ აძლევდნენ სათვალეს და ადვოკატთან შეხვედრის საშუალებას, რისი კანონიერი უფლებაც ჰქონდა.

დაცვის არაკვალიფიციურობის და პასიურობის მაგალითი გამოვლინდა შემდეგ საქმეებში:

- ერთ პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებული იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც სავალდებულო დაცვას ექვემდებარებოდა, რადგან არ ფლობდა ქართულ ენას. ბრალდებულს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე ჰყავდა დანიშნული. პროცესზე გაირკვა, რომ ადვოკატს

არც კი მოუნახულებია დაკავებული და სახეზეც არ იცნობდა მას. მათი შეხვედრა პირველად მოხდა პროცესზე. აღსანიშნავია, რომ მოსამართლის მოსვლამდე ადვოკატი პროკურორისაგან იღებდა ინფორმაციას ბრალდებულზე და არა თავად ბრალდებულისაგან. ამკარაა, რომ ადვოკატი ამ პროცესზე მხოლოდ ფორმალურად წარმოადგენდა ბრალდებულის ინტერესებს.

- არსებითი განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე, პირდაპირი დაკითხვის ეტაპზე, პროკურორები კანონის დარღვევით სვამდნენ მიმანიშნებელ შეკითხვებს,<sup>28</sup> რაზეც დაცვას არავითარი რეაგირება არ ჰქონია, ნაცვლად იმისა, რომ ყოველ ასეთ შეკითხვაზე პროტესტი დაეფიქსირებინა და განერიდებინა.
- ერთ-ერთ პირველი წარდგენის სხდომაზე ადვოკატი არაკვალიფიციური ჩანდა, ვინაიდან მას უჭირდა, გაესენებინა ისეთი ტერმინები, როგორც არის: „ალკვეთი“, „თავდებობა“ და ა.შ.

საიამ ასევე დააფიქსირა სასამართლოს მხრიდან დაცვის უფლების განხორციელებისათვის ხელშეწყობის ერთი დადებითი მაგალითი. ერთ-ერთ პირველი წარდგენის სხდომაზე პირს ბრალი ედებოდა ქურდობაში, ის კი დანაშაულს არ აღიარებდა. ბრალდებულს არ ჰყავდა ადვოკატი და თავად იცავდა საკუთარ თავს. მოსამართლემ დაწვრილებით გამოჰკითხა ბრალდებულს საქმის გარემოებები, მისცა საშუალება, ბოლომდე დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია. პროცესის დასრულების შემდეგ მოსამართლე გულისხმიერად მოეკიდა ბრალდებულს და ურჩია მას, თუკი მართლა უდანაშაულო იყო, კარგად დაფიქრებულიყო, როგორ შეეძლო ამის დამტკიცება, რადგან თუკი მას მართლა არ ჩაუდენია დანაშაული, საჭირო იყო, რომ ამაში პროკურორიც დაერწმუნებინა. მოსამართლემ აგრეთვე ურჩია ბრალდებულს, მოეძიებინა თავისი უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, სანამ წინასასამართლო სხდომა გაიმართებოდა.

<sup>28</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „პირდაპირი დაკითხვისას დაუშვებელია პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა. მხარეს უფლება აქვს, დააყენოს შუამდგომლობა მიმანიშნებელი შეკითხვის განრიდების ან/და ასეთი შეკითხვისა და მასზე პასუხის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.“

### III. არასათანადო მოპყრობის აკრძალვა

არასათანადო მოპყრობა აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. აკრძალვა უზრუნველყოფს წამებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან დაცვას.

ამ უფლების რეალიზებისთვის ბრალდებულმა უნდა იცოდეს თავისი უფლების შესახებ. ასევე, უნდა იცოდეს, რომ არასათანადო მოპყრობის გამო აქვს უფლება, სარჩელი შეიტანოს მიუკერძოებელ სასამართლოში. ლოგიკურად, ბრალდებულის ეს უფლებები სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას, აცნობოს მას ამ უფლებების შესახებ. აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ბრალდებული პატიმრობაშია და სახელმწიფო ფიზიკურად სრულად აკონტროლებს მას.

საიამ მონიტორინგის შედეგად კვლავ გამოავლინა ამ უფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ განუმარტოს ბრალდებულს მისი უფლებები არასათანადო მოპყრობის საწინააღმდეგოდ და მოისმინოს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ. კანონი არ ადგენს პროცედურას, რომლითაც მოსამართლეს შეუძლია ქმედითი ზომების გატარება, როდესაც სახეზეა, სავარაუდოდ, არასათანადო მოპყრობა. ნაცვლად ამისა, მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ ჰკითხოს ბრალდებულს, ჰქონდა თუ არა ადგილი მის მიმართ არასათანადო მოპყრობას.

#### **გამოვლენილი შედეგები:**


მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, მოსამართლემ უფრო მეტ შემთხვევაში განუმარტა ბრალდებულს თავისი უფლება, საჩივრით მიემართა სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში:

- პირველი წარდგენის სხდომებზე მოსამართლემ 283 მოსმენიდან 16 შემთხვევაში (5%) არ განუმარტა ბრალდებულს უფლება, საჩივრით მიემართა სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის შესახებ და არ გამოარკვია, დაექვემდებარა თუ არა ბრალდებული არასათანადო მოპყრობას. გასულ საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ ბრალდებულს ეს

უფლებები არ განუმარტა 87 მოსმენიდან მხოლოდ 9 შემთხვევაში (10%). აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის დასაწყისში (2011 წლის ოქტომბერი-დეკემბერი) ეს მონაცემი 28%-ს შეადგენდა.

- მიმდინარე მონიტორინგის ბოლო ორ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მდგომარეობა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებების განმარტების კუთხით. აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში სასამართლომ 135-დან 135-ვე შემთხვევაში გამოარკვია, ხომ არ იყო საპროცესო შეთანხმება მიღწეული იძულებით, ზემოქმედებით, მოტყუებით ან სხვა ნებისმიერი უკანონო დაპირებით. გასულ საანგარიშო პერიოდშიც მოსამართლეებმა ეს უფლება ბრალდებულს საპროცესო შეთანხმების განხილვის სხდომების 100%-ში (68-დან 68 სხდომაზე) განუმარტეს.
- საიას დაკვირვებით, მონიტორინგის პერიოდში გაფორმებული საპროცესო შეთანხმებების მხოლოდ 4%-ში (135-დან 5) არ აუხსნა მოსამართლემ ბრალდებულებს, რომ მათ მიერ სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივარი ხელს არ შეუშლიდა კანონიერად გაფორმებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელი პერიოდის შედეგებს (2011 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით).


დიაგრამა №11





- შემთხვევების 6%-ში, როდესაც საპროცესო შეთანხმება იყო მიღწეული (135-დან 8), მოსამართლემ არ აუხსნა ბრალდებულს, რომ თუ საპროცესო შეთანხმება არ დამტკიცდებოდა, ინფორმაცია, რომელიც გამოვლინდა საპროცესო შეთანხმების მიღწევისას, არ იქნებოდა გამოყენებული მის წინააღმდეგ. ეს ბევრად გაუმჯობესებული შედეგია წინა პერიოდთან შედარებით, როდესაც მოსამართლემ ვერ შეძლო ამის განმარტება ბრალდებულისთვის 68-დან 15 შემთხვევაში (22%). ეს არის იმ ტენდენციის გაგრძელება, რომელიც მონიტორინგის მესამე საანგარიშო პერიოდში დაიწყო (ივლისი-დეკემბერი, 2012). ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას იმ საანგარიშო პერიოდების განმავლობაში, როდესაც საია აკვირდებოდა აღნიშნულ მონაცემს.

დიაგრამა №12



#### IV. მოტივირებული (დასაბუთებული) გადაწყვეტილების უფლება

სამართლიანი სასამართლოს უფლება ბრალდებულის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებაა, რომელიც ასევე მოიცავს სასამართლოს მიერ მოტივირებული გადაწყვეტილების მიღების უფლებას.<sup>29</sup>

<sup>29</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 194.2.

გადანყვეტილებების მიღების დასაბუთებულობის შესაფასებლად, საია დააკვირდა გამოძიების პერიოდში განხორციელებული ჩხრეკისა და ამოღების დაკანონების პროცესებს, რომლებიც ჩატარდა მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე და გამართლებული იყო გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით. საია მიიჩნევს, რომ, ზოგადად, ამ საკითხებს ცალკე კვლევა სჭირდება, რაც სცილდება წინამდებარე ანგარიშის მიზნებს. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები საშუალებას იძლევა, ამ მიმართულებით საქართველოს სამართლოებში არსებული სურათი თვალსაჩინო გახდეს.

ჩხრეკა და ამოღება არის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს პირად სფეროში ჩაურევლობის უფლებას. ამიტომ კანონი უზრუნველყოფს სასამართლო კონტროლს ჩხრეკასა და ამოღებაზე. ყველა შუამდგომლობა ჩხრეკისა და ამოღების შესახებ უნდა განიხილოს სასამართლომ და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე და 120-ე მუხლები მკაცრად განსაზღვრავს ორ წინაპირობას ჩხრეკისა და ამოღებისათვის: დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩხრეკის შედეგად მოპოვებული იქნება დანაშაულის მტკიცებულება და სასამართლოს ნებართვა. ჩხრეკა და ამოღება სასამართლოს ნებართვის გარეშე დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა. მოსამართლემ შემდეგ ან უნდა დააკანონოს, ან გააუქმოს ჩხრეკისა და ამოღების შედეგები.

### **გამოვლენილი შედეგები:**

მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა ჩხრეკასა და ამოღებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში, სადაც საიამ კვლავ დააფიქსირა მოტივირებული (დასაბუთებული) გადაწყვეტილების უფლების ამკარა დარღვევა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც, მსგავსად წინა ანგარიშებისა, თითქმის ყველა საქმეში, რომელსაც საია აკვირდებოდა, ჩხრეკა და ამოღება ჩატარებული იყო გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში, მოსამართლის მიერ შემდგომი დაკანონებით. კერძოდ, ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების 48 შემთხვევიდან, რომელიც საიამ დააფიქსირა, მხოლოდ ორ შემთხვევაში ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება სასამართლოს ნებართვით, დანარჩენ 46 შემთხვევაში კი, დაკანონება სასამართლოს მიერ მოგვიანებით განხორციელდა.

საიამ ვერ შეძლო გაერკვია, იყო თუ არა ჩხრეკისა და ამოღების ფაქტის შემდგომი დაკანონება დასაბუთებული, ვინაიდან ისინი არ განიხილება ზეპირი მოსმენების შესაბამის სხდომებზე. თუმცა, ის ფაქტი, რომ 96% მხოლოდ ჩატარების შემდეგ დაკანონდა, წარმოშობს ეჭვს სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მიერ იმ ვალდებულებების დაუცველობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მათ არ უნდა ჩაატარონ ან დააკანონონ საგამოძიებო მოქმედება, რომელიც არ არის სათანადოდ არგუმენტირებული და ტარდება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე.

### **მოსამართლის რეაგირების დადებითი მაგალითი**

საიამ დააფიქსირა ერთი დადებითი მაგალითი, როდესაც მოსამართლე, ბრალდებულის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გასცდა კანონით მასზე დაკისრებულ მინიმალურ ვალდებულებებს და, მას შემდეგ, რაც დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო უკანონოდ ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიება, პროკურორს მოუწოდა, გამოძიება დაეწყო იმ პირთა მიმართ, ვინც უკანონოდ განახორციელა ჩხრეკა-ამოღება.

## **V. საჯარო განხილვის უფლება**

როგორც ზემოთ აღინიშნა, საჯარო განხილვის უფლება ბრალდებულის და საზოგადოების მნიშვნელოვანი უფლებაა და განრანტირებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ამ უფლების სრულყოფილი რეალიზაციისათვის, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს საქმის წარმოების იმგვარად განხორციელება, რომ სხდომაზე დაინტერესებული პირის დასწრების შემთხვევაში, მას არ შეექმნას მიმდინარე პროცესში გარკვევის პრობლემა. ეს, ასევე, ნიშნავს დასწრების თანაბარი უფლების უზრუნველყოფას ყველასთვის. გარდა ამისა, სასამართლოს განაჩენი უნდა გამოცხადდეს საჯაროდ, სასჯელის ზომის, შესაბამისი კანონისა და ბრალდებულის მიერ მისი გასაჩივრების უფლების მითითებით.<sup>30</sup>

<sup>30</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 277.1.

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში 2013 წლის მაისში შევიდა ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს სასამართლო სხდომების მეტ საჯაროობას. ამ ცვლილებების შედეგად, საზოგადოებრივ მაუწყებელსა და სხვა ტელევიზიებს უფლება მიეცათ, განახორციელონ სასამართლო პროცესის ვიდეო და აუდიო ჩანერა.<sup>31</sup>

### **გამოვლენილი შედეგები:**

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ საჯარო განხილვის უფლება, როგორც წესი, დაცულია. მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, ძირითადი გამოჩნაკლისი იყო პირველი წარდგენის სხდომები თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც ინფორმაცია სხდომის შესახებ წინასწარ არასოდეს ცხადდება.

ამასთან, 884 განხილვიდან 88 შემთხვევაში (10%), რომელიც არ მოიცავს პირველი წარდგენის სხდომებს, წინასწარ არ ცხადდება ინფორმაცია სხდომის თარიღისა და დროის შესახებ. თუმცა, ეს წინა საანგარიშო პერიოდზე უკეთესი შედეგია, სადაც აღკვეთის გარდა სხვა სხდომების 22%-ში ინფორმაცია წინასწარ არ ქვეყნდებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით ყველაზე კარგი მდგომარეობა ბათუმის საქალაქო სასამართლოშია, ყველაზე ცუდი კი – თბილისში.

საიამ ასევე გამოავლინა შემდეგი დარღვევები:


- 884-დან 6 შემთხვევაში (0.6%), სასამართლო სხდომების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია იყო არასრული ან არასწორი. მაგალითად, განცხადებაში არ იყო დაკონკრეტებული, რომელ დარბაზში ტარდებოდა სხდომა, ან სხდომის დარბაზი არასწორად იყო მითითებული.
- ნაფიც მსაჯულების შერჩევის სამივე ღია სხდომაზე, რომელსაც საია აკვირდებოდა, ინფორმაცია წინასწარ იყო გამოქვეყნებული და საზოგადოებასაც თავისუფლად მიეცა მათზე დასწრების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის წინა პერიოდში ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე საზოგადოებას ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებზე დასწრების საშუალება შეზღუდული ჰქონდა, ვინაიდან სხდომის დარბაზის შეს-

<sup>31</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ (ძალაშია 2013 წლის 1 მაისიდან), მუხლი 13<sup>1</sup>.

ასვლელს მანდატურები იცავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სხდომა მოსამართლის მიერ არ იყო დახურული. საია დადებითად აფასებს სასამართლოს მიერ ამ პრობლემის გადაჭრას და იმედს გამოთქვამს, რომ საზოგადოებას არც ერთი პროცესის დასწრებისას აღარ შეექმნება მსგავსი ხელოვნური ბარიერები.

- 1167-დან 18 შემთხვევაში (1.5%) ბრალდებულის ახლობლები ან სხვა დაინტერესებული პირები ვერ დაესწრნენ სხდომას დარბაზის სიმციროს გამო. მათ შორის 11 გახმაურებული პროცესი იყო (მაგალითად: გიორგი უგულავას<sup>32</sup> საქმე, ბაჩანა ახალაიას საქმე, ზურაბ ჟვანიას<sup>33</sup> საქმე და ივანე მერაბიშვილის საქმე).
- 488 არსებითი სხდომიდან<sup>34</sup> 69 (14%) დასრულდა განაჩენის საჯარო გამოცხადებით. ამ 69 განაჩენიდან 68 (98%) იყო გამამტყუნებელი, მხოლოდ 1 – გამამართლებელი. 68 გამამტყუნებელი განაჩენიდან ოთხი გამოტანილი იყო გახმაურებულ საქმეზე, დანარჩენი 64 კი – ჩვეულებრივ საქმეზე. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მდგომარეობას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის აგვისტოს ჩათვლით).

დიაგრამა №13



<sup>32</sup> გიორგი უგულავა — თბილისის ყოფილი მერი.

<sup>33</sup> ზურაბ ჟვანია — საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

<sup>34</sup> შვიდი სხდომა დახურული იყო.

- მონიტორინგის წინა პერიოდისაგან განსხვავებით, მოსამართლემ არ დაამტკიცა სამი (2%) საპროცესო შეთანხმება. 135 დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებიდან მოსამართლემ ორ (1%) შემთხვევაში არ გამოაცხადა განაჩენი საჯაროდ. ამ ორივე შემთხვევაში, მოსამართლემ მხოლოდ აღნიშნა, რომ საპროცესო შეთანხმება დამტკიცებული იყო და დარბაზი დატოვა.

## VI. თარჯიმნის ყოლის უფლება

საქართველოს კონსტიტუცია,<sup>35</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი<sup>36</sup> და საერთაშორისო კონვენციები,<sup>37</sup> რომელთა მონაწილე მხარეც არის საქართველო, ითვალისწინებს, რომ პიროვნებას უფლება აქვს, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე, თუ მან არ იცის სამართალწარმოების ენა.

### **გამოვლენილი შედეგები**

მონიტორინგის განმავლობაში საია დააკვირდა 57 სხდომას, სადაც სავალდებულო იყო თარჯიმნის მონაწილეობა. დადებითი კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ 57-ვე შემთხვევაში მოწვეული იყო თარჯიმანი, რომელიც სრულფასოვნად ასრულებდა თავის მოვალეობას.

დაფიქსირდა ერთი დადებითი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ სხდომა საკუთარი ინიციატივით გადადო ერთ-ერთი ბრალდებულისათვის თარჯიმნის დასანიშნად (მაგალითი მოცემულია სპეციალურ ჩარჩოში).

<sup>35</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85.2.

<sup>36</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38.8.

<sup>37</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 6.3.

### **თარჯიმნის დანიშვნა მოსამართლის ინიციატივით**

ერთ-ერთ საქმეში სამი ბრალდებული საუბრობდა არაბულ ენაზე, ამიტომ მათთვის მოწვეული იყო არაბული ენის თარჯიმანი. როდესაც მოსამართლემ დაიწყო ბრალდებულების ვინაობის დადგენა, მას ეჭვი შეეპარა თარჯიმნის კვალიფიციურობაში და ჰკითხა, სრულყოფილად ფლობდა თუ არა არაბულ ენას. თარჯიმანმა უპასუხა, რომ ერთ-ერთი ბრალდებული საუბრობდა დიალექტზე, ამიტომ უჭირდა მისთვის გადათარგმნა. ამის შემდეგ მოსამართლემ გადაადო პროცესი და განაცხადა, რომ შემდეგი სხდომა დამატებით თარჯიმანთან ერთად გავრძელდებოდა.

## **8. პროცესის მონაწილეთა ქცევა სასამართლო სხდომაზე**

საიას მიერ წარმოებული მონიტორინგის განმავლობაში მხარეებისა და სასამართლოს მხრიდან არაერთ სხდომაზე გამოვლინდა, ერთი მხრივ, არაეთიკური და, მეორე მხრივ, კანონის შეუსაბამო ქმედებები. მართალია, თითოეული ეს შემთხვევა კონკრეტული უფლებების გარკვეულწილად შეზღუდვასაც მოიცავს, თუმცა, უფრო მეტად მიუთითებს პროცესის მონაწილეთა არაპროფესიონალიზმსა და არაკომპეტენტურობაზე. აქ არ არის განხილული ისეთი ფაქტები, რომლებიც შეეხება პროცესის მონაწილეთა მიერ ნორმის ინტერპრეტაციას ან დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერად (თუნდაც არაგონივრულად) გამოყენებას.

### **სასამართლო**

ერთ-ერთ წინასასამართლო სხდომაზე, ბრალდებულს ბრალი ედებოდა მკვლელობაში, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა განსჯადი საქმეა. სხდომაზე მოსამართლემ ბრალდებულს არ განუმარტა, რომ მას უფლება ჰქონდა, მოეთხოვა თავისი საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა მიერ. მოსამართლემ პირდაპირ გადასცა საქმე არსებითად განსახილველად. აღნიშნულით მოსამართლემ დაარღვია კანონის მოთხოვნები და ბრალდებულს მოუსპო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზების სა-

შუალევა.<sup>38</sup> აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით არც ბრალდებულის ადვოკატს გამოუხატავს პროტესტი, რაც მის არაკვალიფიციურობასა ან გულგრილობაზე მიუთითებს. ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ განსაზღვრავს პროცედურას, რომლითაც შეიძლება ბრალდებულისათვის ამ უფლების აღდგენა. მის დაცვას არსებითი გავლენა აქვს ბრალდებულის სამართლებრივ ინტერესებზე. შესაბამისად, აუცილებელია, კანონმა დაარეგულიროს ბრალდებულისათვის აღნიშნული უფლების აღდგენის პროცედურა.

საიამ, ასევე, დააფიქსირა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ორი შემთხვევა სასამართლოს მხრიდან:

- ერთ პირველი წარდგენის სხდომაზე პირს ბრალი ედებოდა ქალბატონის გაძარცვის მცდელობაში. პროცესზე გაჟღერდა, რომ ბრალდებულმა ქალბატონს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა. მოსამართლესა და ბრალდებულს შორის კი ასეთი დიალოგი გაიმართა:

**მოსამართლე:** „რა დაგიშავა იმ ქალმა, რატომ სცემე?“

**ბრალდებული:** „ვიმყოფებოდი ნასვამ მდგომარეობაში.“

**მოსამართლე:** „რამდენი დაღევ, იმდენი ქალებს უნდა სცემო?“

- კიდევ ერთ პირველი წარდგენის სხდომაზე პირს ბრალი ედებოდა ქურდობის მცდელობაში. მოსამართლემ ასეთი შეკითხვით მიმართა ბრალდებულს: რატომ აკეთებ ასეთ რალაცას [ქურდობა], აბა, მითხარი. ერთხელ გასამართლდი [ქურდობის ჩადენისთვის], კიდევ სხვის სახლებში დადიხარ. რატომ აკეთებ [რატომ ქურდობ], ვინმემ ჩაგითრია [ქურდობაში]? რატომ აკეთებ, ხვდები, რომ ცუდი საქციელია ქურდობა თუ არა?“

ზემოაღნიშნულ მაგალითებში მოსამართლემ დაასკვნა ბრალდებულთა მიერ დანაშაულის ჩადენა მანამ, სანამ საქმეზე ყველა არსებული მტკიცებულების გამოკვლევა და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა მოხდებოდა.

<sup>38</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „თუ ბრალდებულს ბრალი წაუყენეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის, მოსამართლე ვალდებულია, ბრალდებულს განუმარტოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებები და მასთან დაკავშირებული უფლებები. ამის შემდეგ მოსამართლე არკვევს, ამბობენ თუ არა მხარეები უარს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე. თუ მხარეები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარს ერთობლივად არ განაცხადებენ, მოსამართლე ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღს“.



## ადვოკატი

ერთსა და იმავე საქმის ორ სხდომაზე (ერთი – წინასასამართლო სხდომა და ერთი – არსებითი განხილვის სხდომა) 2 ბრალდებულს იცავდა ერთი ადვოკატი. ბრალდებულთაგან ერთ-ერთი აღიარებდა დანაშაულს, მეორე კი – არა, შესაბამისად, ბრალდებულთა შორის არსებობდა ინტერესთა კონფლიქტი და ადვოკატს არ ჰქონდა უფლება, დაეცვა ორივე მათგანი. აღნიშნულით ადვოკატმა დაარღვია სსსკ მე-60 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც: „ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს.“

ერთ-ერთ პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულს ბრალი ედებოდა ფსიქოტროპულ ნივთიერებასთან დაკავშირებულ დანაშაულში,<sup>39</sup> რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1-დან 5 წლამდე. ადვოკატი მოითხოვდა ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას, ან ალტერნატივის სახით მისთვის სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ შეთანხმების დაკისრებას. აღნიშნულით ადვოკატმა გამოავლინა თავისი არაკვალიფიციურობა და კანონმდებლობის არცოდნა, რადგან სსსკ 202-ე მუხლის თანახმად, შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე მეტი ვადით.

ერთ-ერთ არსებითი განხილვის სხდომაზე ჯვარედინი დაკითხვის დროს ადვოკატმა გააპროტესტა ბრალდების მხარის მიერ დასმული შეკითხვა იმ მოტივით, რომ კითხვა იყო მიმანიშნებელი და პირდაპირ შეიცავდა პასუხს. აღნიშნულითაც ადვოკატმა გამოავლინა თავისი არაკვალიფიციურობა და კანონმდებლობის არცოდნა, ვინაიდან სსსკ 245-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ჯვარედინი დაკითხვისას დასაშვებია პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა. აღსანიშნავია, რომ ამ შეცდომაზე არც მოსამართლეს და არც პროკურორს არ მიუთითებია. გარდა ამ შემთხვევისა, ადვოკატი პროცესზე ძალიან პასიურობდა და თითქმის არ უსვამდა კითხვებს მონმეებს.

<sup>39</sup> სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 260<sup>1</sup> ნაწილი 1.

## **დ. სასამართლო პროცესის დროულად გამართვის უზრუნველყოფა**

საიას მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა პრობლემები სასამართლო განხილვის დროულად დაწყებასთან მიმართებით. მონიტორინგის აღნიშნულ პერიოდში 884 მოსმენიდან 250, რომელიც არ მოიცავს პირველი წარდგენის სხდომებს (28%), დაინყო ხუთ ნუთზე მეტი დაგვიანებით:

- 88 შემთხვევაში (35%) მოსამართლემ დააგვიანა;
- 39 შემთხვევაში (16%) იმავე სასამართლო დარბაზში სხვა მოსმენა გრძელდებოდა;
- 35 შემთხვევაში (14%) ბრალდებულმა დააგვიანა;
- 23 შემთხვევაში (9%) ადვოკატმა დააგვიანა;
- 9 შემთხვევაში (4%) პროკურორმა დააგვიანა;
- დარჩენილ 56 შემთხვევაში (22%) სხვადასხვა მიზეზი იქნა მოყვანილი.

## დასკვნა

- მონიტორინგის მიმდინარე პერიოდში გაგრძელდა ცალკეული მიმართულებებით სასამართლოს მიდგომების გაუმჯობესების ტენდენცია. კიდევ უფრო შემცირდა დაუსაბუთებელი აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილებები. ეს განსაკუთრებით პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებებს შეეხება.
- სურათი შეიცვალა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახეების თვალსაზრისითაც – მოსამართლეებმა უფრო ხშირად დაიწყეს გირაოსა და პატიმრობისაგან განსხვავებული აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება. კერძოდ, ბრალდებულთა 5%-ს შეეფარდა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება, 6% კი გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან აღკვეთის ღონისძიების გარეშე. ამასთან, პირველად დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც თავად პროკურატურამ არ იშუამდგომლა რომელიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ და პირდაპირ წინასასამართლო სხდომის ჩანიშვნა მოითხოვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საქმეებიდან არც ერთი არ იყო გახმაურებული საქმე.
- პროკურატურის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებების შესახებ, მეტწილად გირაოს ნაწილში, ჯერ კიდევ დაუსაბუთებელი რჩება. პოზიტიურ ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სასამართლო უფრო ხშირად ცდილობს, თავად გამოარკვიოს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა. სასამართლო, ჩვეულებრივ, ავტომატურად აღარ აკმაყოფილებს ბრალდების მხარის შუამდგომლობას პატიმრობის შესახებ, შესაბამისად, მისი გადაწყვეტილებები უფრო დასაბუთებული გახდა.
- მონიტორინგის მთელი პერიოდის მანძილზე (2011 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით) მეორედ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სასამართლომ წინასასამართლო განხილვის ეტაპზე შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა.
- სასამართლომ მოაგვარა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებზე დასწრების პრობლემა და უკვე ყველა მოქალაქე

ისათვის თავისუფლად არის შესაძლებელი ასეთი ტიპის სხდომებზე დასწრება.

- მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, სასამართლოებმა ვერ შეძლეს, წინასწარ გამოექვეყნებინათ ინფორმაცია პირველი წარდგენის სხდომების შესახებ.
- მონიტორინგის წინა პერიოდის მსგავსად, წინასასამართლო სხდომები, ძირითადად, ისევ რუტინულად მიმდინარეობდა. სასამართლოები, როგორც წესი, ეთანხმებოდნენ პროკურატურის შუამდგომლობას მტკიცებულებების წარდგენის შესახებ. დაცვა, ძირითადად, თავს იკავებდა როგორც საკუთარი მტკიცებულების წარდგენის, ისე ბრალდების მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის მოთხოვნისაგან.
- რაც შეეხება ჩხრეკასა და ამოღებას, კვლავ არსებობს მიზეზი, რომ ეჭვი შევიტანოთ სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მიერ იმ ვალდებულებების შესრულებაში, რომლის მიხედვითაც, მათ არ უნდა ჩაატარონ ან დააკანონონ ისეთი ჩხრეკა და ამოღება, სადაც სათანადოდ არ იქნება არგუმენტირებული გადაუდებელი აუცილებლობა.
- პირველადი მონიტორინგის დაწყებიდან მოყოლებული (2011 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით) დაფიქსირდა სამი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ არასამართლიანად მიიჩნია საპროცესო შეთანხმებით დადგენილი სასჯელი და არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება. სხვა მხრივ, საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცესი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, თუმცა, სასამართლო წინა პერიოდებთან შედარებით უფრო გააქტიურებული ჩანდა და მეტ შემთხვევაში ცდილობდა შეთანხმებული სასჯელის სამართლიანობაში დარწმუნებას. მართალია, კიდევ უფრო შემცირდა იმ საპროცესო შეთანხმებების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ჯარიმას აკისრებდა, თუმცა, თითქმის სამჯერ გაიზარდა ჯარიმის საშუალო ოდენობა წინა პერიოდთან შედარებით.
- რაც შეეხება ბრალდებულის კონკრეტულ უფლებებს,

შესამჩნევი ცვლილებები არ დაფიქსირებულა. თუმცა, მოსამართლეები გაცილებით უკეთ ახერხებდნენ ბრალდებულთა ინფორმირებას მათი უფლებების შესახებ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ და იმის გამორკვევისას, იყო თუ არა საპროცესო შეთანხმებები არასათანადო მოპყრობის შედეგი.

- სასამართლო პროცესების დროულად დაწყება კვლავ პრობლემად რჩება. პროცესზე ხშირად მოსამართლეები აგვიანებენ.

## **რეკომენდაციები**

ყველა წინა საანგარიშო პერიოდისა და უკანასკნელი დაკვირვების შედეგების გათვალისწინებით, საიამ მოამზადა შემდეგი რეკომენდაციები:

1. სასამართლოებმა უფრო ხშირად უნდა ისარგებლონ მათთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებით აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით. მოსამართლეებმა კიდევ უფრო ხშირად უნდა გამოიყენონ ნაკლებად მკაცრი ღონისძიებები (ალტერნატიული ღონისძიებები, პატიმრობისა და გირაოს გარდა) შესაბამის შემთხვევაში და საერთოდ უარი უნდა თქვან აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე, როდესაც პროკურატურა ვერ ასაბუთებს მისი გამოყენების აუცილებლობას. სასამართლოებმა, ასევე, უნდა მოითხოვონ პროკურატურისაგან აღკვეთის ღონისძიების უფრო მეტი დასაბუთება და პროკურატურას დააკისრონ მტკიცების ტვირთი, განსაკუთრებით, გირაოს მოთხოვნის შემთხვევაში.
2. ისეთ ბრალდებულებს, რომელთაც ადვოკატი არ ჰყავთ, მოსამართლეებმა სრულყოფილად უნდა განუმარტონ ყველა აღკვეთის ღონისძიების სახე და მათი გამოყენების შესაძლებლობა. ამასთან, მოსამართლეები უფრო აქტიურად უნდა შეეცადნენ, საკუთარი ინიციატივით გამოარკვიონ, შესაძლებელია თუ არა გირაოსა და პატიმრობაზე უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.

3. საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას მოსამართლეები მეტად უნდა გააქტიურდნენ და დაამტკიცონ მხოლოდ სამართლიანი და კანონიერი საპროცესო შეთანხმებები, რათა არ არსებობდეს ეჭვი სასჯელისა და დანაშაულის პროპორციულობასთან დაკავშირებით.
4. მოწმეთა დაკითხვისას მოსამართლემ უნდა დაიცვას კანონით დადგენილი წესი და მხოლოდ მხარეთა ნებართვის შემდეგ უნდა დაუსვას მოწმეებს შეკითხვები.
5. სასამართლომ უნდა ჩამოაყალიბოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით. სასამართლომ, ასევე, უნდა გამორიცხოს არაერთგვაროვანი მიდგომა ცალკეულ მოწმეებთან მიმართებით.
6. აუცილებელია, რომ ადვოკატები საქმის განხილვის ყველა ეტაპზე კვალიფიციურად, აქტიურად და დამაჯერებლად ახორციელებდნენ დაცვის უფლებას.
7. მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ ყველა თანაზომიერი ღონისძიება და უზრუნველყონ სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვა, რათა მხარეებს ხელი არ შეეშალოთ თავიანთი პოზიციების სრულყოფილად წარმოდგენაში.
8. აუცილებელია, რომ მოსამართლეებმა სრულყოფილად და გასაგებად განუმარტონ ბრალდებულს მათი ყველა უფლება.
9. საპროცესო კანონმდებლობაში უნდა შევიდეს ცვლილება, რომელიც ბრალდებულს მისცემს საშუალებას, მოითხოვოს თავისი საქმის ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილვა იმ შემთხვევაშიც, თუკი წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ მას, კანონის საწინააღმდეგოდ, არ განუმარტა ეს უფლება და ისე გადასცა საქმე არსებითად განსახილველად.
10. სასამართლოები და სამართალდამცავი ორგანოები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდნენ ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებას. სამართალდამცავმა ორგანოებმა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა ჩაატარონ აღნიშნული ღონისძიება სასამართლოს წინასწარი ნებართვის

გარეშე, მოსამართლემ კი მხოლოდ საფუძვლიანი შემონ-  
მების შემდეგ უნდა დააკანონოს ასეთი გზით ჩატარებუ-  
ლი ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიება.

11. სასამართლომ უნდა უზრუნველყოს სხდომის შესახებ სრულყოფილი და მართებული ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება.